

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის
ანგარიში

„განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება
საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური
უკუკავშირის მიწოდება“

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის
მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი მიმოზა ჩოგოვაძე

2018-2019 სასწავლო წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	4
1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.....	4
1.2 თემის აქტუალობა.....	4
თავი II ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
თავი III კვლევის მეთოდები.....	29
3.1. თვისობრივი მეთოდები.....	29
3.2. რაოდენობრივი მეთოდები.....	32
3.3. მთავარი შეკითხვა/ქვეკითხვები.....	32
3.4. სამიზნე ჯგუფი.....	34
3.5. კვლევის ვადები/განრიგი.....	35
თავი IV. კვლევის შედეგები.....	36
4. 1. სტატისტიკური მონაცემები.....	36
4. 2. მონაცემთა ანალიზი.....	46
4. 3. ინტერვიუ დირექტორთან.....	48
თავი V. ინტერვენციები.....	50
5.1 ინტერვენციები.....	50
6. 2. ინტერვენციების მიზანი.....	61
5. 3. ინტერვენციების შეფასება.....	63
5. 4. ინტერვენციების შედეგები.....	65
თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის შედეგები.....	66
6. 1 რეკომენდაციები.....	66
6. 2 კვლევის შედეგები.....	68
თავი VII. დასკვნა.....	70
7. 1 დასკვნა.....	70
7. 2 კოლეგებთან გაზიარება.....	72
ბიბლიოგრაფია.....	72
დანართები.....	73
რეფლექსია.....	92

შესავალი

„ცოდნა არის სოციალური ცვლილებების ძრავა“

ნიკო სტერი

განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. ემილ დიურკემის აზრით, „განათლების მთავარი ფუნქცია დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემაა“. განათლება მრავლისმომცველი ცნებაა. ის არის პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს.

განათლება ემსახურება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას. კარლ როჯერსი მიიჩნევს, რომ: „მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც ისწავლა თუ, როგორ უნდა ისწავლოს, რომელმაც შეიძინა ადაპტირებისა და საკუთარი თავის შეცვლის უნარი, რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი, და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. განათლება ის ბერკეტია, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რათა მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში.“

წინამდებარე ნაშრომი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის ანგარიში თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

ნაშრომში განხილულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების არასწორად შექმნითა და საგაკვეთილო პროცესში მათი არაეფექტური გამოყენებით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გასაუმჯობესებლად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროების კვლევა თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“. სკოლაში სწავლობს 220 მოსწავლე, მათ შორის დაწყებით საფეხურზე 120 საბაზო საფეხურზე 55 და საშუალო საფეხურზე 45. სკოლის დირექტორია ბატონი ალექსანდრე ნიქაბაძე. სკოლაში მუშაობს 30 მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 2 წამყვანი და 6 სერთიფიცირებული მასწავლებელი. 2 მასწავლებელი კი ელოდება სტატუსის შეცვლას. სკოლა თანამშრომლობს განათლების ინსტიტუტთან, თანამშრომლობის ფარგლებში ერთი პედაგოგი ბატონი კახაბერ ჩაკვეტაძე თავადაც ატარებს ტრენინგებს, ამასთანავე იგი წარმოადგენს განათლების ექსპერტს. ქვიტირის საჯარო სკოლის მისიაა ორგანიზებული სასწავლო პროცესითა და მაღალხარისხიანი განათლებით დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა.

1.2 თემის აქტუალობა

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, აღმოჩნდა რომ ეს ყოველივე ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დირექციამ გადაწყვიტა, ვარაუდზე დაფუძნებული ცვლილებების ნაცვლად პრობლემების გაუმჯობესება მოეხდინა მისი საფუძვლიანი შესწავლის გზით.

სკოლაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა და სწორად გამოყენება რომ უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დიდი იყო მომართვიანობა მასწავლებლების მხრიდან, რომელთაც გაკვეთილის

დაგეგმვისას პრობლემები ექმნებოდათ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენის გამო. დირექტორისა და ფასილიტატორის თქმით, აღნიშნული პრობლემა აქტუალურია სწავლების სამივე საფეხურზე, საინტერესო იქნებოდა პრობლემის ძირეულად შესწავლა და გაანალიზება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დირექტორისა და ფასილიტატორის მხარდაჭერით გადავწყვიტე განმეხორციელებინა კვლევა თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

შეიქმნა კვლევის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია, ფასილიტატორი, მოსწავლეები და მათი მშობლები.

კვლევის დასაწყისში ჩატარდა კვლევის ჯგუფში შემავალი წევრების **გამოკითხვა**, რომლებიც გულწრფელად ადასტურებენ, რომ პრობლემები განმავითარებელი შეფასების გამოყენებასთან დაკავშირებით ნამდვილად გააჩნიათ. გამოკითხვის **მიზანი** იყო დადგენილიყო თითოეული მათგანის დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისადმი, აღმოჩენილიყო ის სირთულეები, რაც რუბრიკების წარმოებისა და გამოყენების პროცესში წარმოიქმნებოდა. მასწავლებლებთან ერთად განვიხილე გამოკითხვის შედეგები. განვახორციელე ინტერვიუ დირექტორთან. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა. გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც სკოლაში მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში შეფასების რუბრიკების წარმოებასა და მათ ეფექტიან გამოყენებას უშლიდა ხელს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ საკითხთან, როგორცაა შეფასება. რატომ არის ეს თემა ასე მნიშვნელოვანი? როგორ მოვახერხოთ შეფასების ინსტრუმენტებისა და რუბრიკების სწორად და ეფექტურად გამოყენება? რა მნიშვნელობა აქვს შეფასების პრინციპებს? როგორია უცხოელი კოლეგების გამოცდილება შეფასებასთან დაკავშირებით? ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კითხვებისა, რომლებზეც შევეცდები იპოვოთ პასუხები აღნიშნული კვლევის ანგარიშში.

მოსწავლეთა შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემის გამართულ და ეფექტიან მუშაობას, განსაკუთრებით კი განმავითარებელი შეფასების გამოყენებას.

განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობითა და სწავლების სტრატეგიით ინფორმაციის მოპოვებას მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად.

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარეები და მისცეს მას სწორი მიმართულება სუსტი მხარეების დასაძლევად. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან გაზარდოს სწავლის მოტივაცია, მიგვიყვანოს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სასწავლო მიზნამდე და მივალწიოთ სასურველ შედეგს. განმავითარებელი შეფასება დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებსაც, დროულად და ეფექტურად მიწოდებული უკუკავშირი მოსწავლეს საშუალებას აძლევს განსაზღვროს საკუთარი ცოდნის ხარისხი და დასახოს დაშვებული შეცდომის გამოსწორების გზები.

ვიდრე კვლევის ანგარიშს შევქმნიდი, გავეცანი ამავე საკითხზე არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას და სხვა ქვეყნებში სწავლების პროცესში შეფასების სისტემის წარმატებულ მოდელებს.

1.3 პრობლემის ანალიზი

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვაკვირდებოდი მასწავლებელთა მიერ განმავითარებელი შეფასების გამოყენების სიხშირესა და ხარისხს. გამომდინარე იქედან, რომ ვარ შეფასების ჯგუფის წევრი, ხშირად მიხდებოდა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრება.

მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე ხშირმა დასწრებამ კვლევაში აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მკაფიო და შესამჩნევი გახადა. მასწავლებელთა

უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სწორად შედგენასა და წარმოებას სასწავლო პროცესში. ვერ აკეთებდნენ განმავითარებელ შეფასებას. მათ მიერ გაკეთებული კომენტარი არ იყო დაზუსტებული, მოსწავლისათვის ბუნდოვანი იყო, თუ რატომ დაიმსახურა მან შექება, ან როგორ მოახერხოს და რა უნდა გააკეთოს დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად.

კვლევაში მონაწილეობას იღებს 25 მასწავლებელი. დაკვირვების საფუძველზე გაირკვა, რომ მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს მიზანმიმართულად განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია - უკუკავშირი, რომლის ეფექტურობას მისი ხარისხი განაპირობებს. მასწავლებლებმა თეორიულად იციან ეფექტური უკუკავშირის მახასიათებლები, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში მასწავლებელთა უმეტესი ნაწილის მიერ გაცემული უკუკავშირი არ იყო კონკრეტული, იგი ვერ მიმართავდა მოსწავლის ყურადღებას სასწავლო მიზნებისკენ, მოსწავლის ძლიერი მხარეებისკენ და ვერ სთავაზობდა სპეციფიკურ ინფორმაციას გასაუმჯობესებლად.

და თუ, მოსწავლე ვერ აკავშირებს უკუკავშირს თავისი წარუმატებლობის მიზეზებთან, ასეთ უკუკავშირს შეუძლია დასწიოს მისი თვითშეფასება და ხელი შეუშალოს შემდგომ მიღწევებს. მოსწავლეები გაცილებით მეტ სარგებელს იღებენ მასწავლებლის უკუკავშირისგან, როდესაც იგი ყურადღებას ამახვილებს დავალების შესრულების ხარისხზე, ხსნის რატომ არის სწორი ან მცდარი ესა თუ ის დებულება ან მოქმედება. ცხადად წარმოაჩენს, რა არის მიღწეული და რა ჯერ კიდევ მიუღწეველი; მოიცავს სპეციფიკურ სტრატეგიებს შედეგების გასაუმჯობესებლად. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი საკითხების არასწორად წარმოება კი უდიდეს პრობლემას უქმნის უპირველესად მოსწავლეს და ჩიხში ამწყვდევს მასწავლებელს, რაც უშუალოდ აისახება მოსწავლის აკადემიურ ხარისხზე, ზოგადად კი სწავლა-სწავლების ხარისხზე.

მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს „მასწავლებლის წიგნში“ მოცემულ შეფასების რუბრიკებს, თუმცა მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოქნილად, მარტივი, მოსწავლისათვის გასაგები ენით ობიექტური შეფასება მოახდინოს თითოეული მოსწავლისათვის და მიაწოდოს მას ეფექტური უკუკავშირი.

შეფასების რუბრიკა ისე უნდა იყოს შექმნილი, რომ მისი წაკითხვისას ის საკუთარ თავს უნდა მოარგოს თითოეულმა მოსწავლემ. ეს კი ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა უმრავლესობის მიერ გაცემული უკუკავშირით დიდ სირთულეს წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ შევარჩიეთ საკვლევ თემად „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“. კვლევის ჯგუფთან ერთად დავიწყე პრობლემის გაუმჯობესების გზების ძიება. დავგეგმე ინტერვენციები და შევადგინე კვლევის გეგმა. დავიწყე მონაცემების შეგროვება, გამოვიყენე ანკეტირება. შევადგინე კითხვარი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის ღია და დახურული პასუხებით. ანკეტირების დასრულების შემდეგ მოვახდინე მონაწილეთა გამოკითხვა. გარდა ანკეტირებისა აგრეთვე ჩავწერე ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და განვახორციელე ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. თითოეული გამოყენებული მეთოდის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზმა დაადასტურა საკვლევ პრობლემის არსებობა და მკვეთრად განსაზღვრა მისი სიმძიმის ხარისხი.

1.4. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია გავაუმჯობესოთ სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი სწორად და მიზანმიმართულად გამოყენება და მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის(წერილობით ან ზეპირი) მიწოდება. მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია კვლევის ფოკუს ჯგუფმა დეტალურად შეისწავლოს არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები, ერთობლივად დადგინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის მასწავლებლებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სწორად გამოყენებაში. დაიგეგმოს, განხორციელდეს და შეფასდეს შესაბამისი ინტერვენციები, რომელთა განხორციელებითაც აღნიშნული

პრობლემა უნდა გაუმჯობესდეს, შემუშავდეს და გაიზარდოს პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზები, რაც პედაგოგებს დაეხმარება ისეთი განმავითარებელი რუბრიკების შემუშავებაში, რომლის ფორმა და წარმოება მოსახერხებელი იქნება მასწავლებლებისთვის და გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას.

თავი II ლიტერატურის მიმოხილვა

მოსწავლეების შეფასება მიზანმიმართული და თანმიმდევრული პროცესია, რომელიც სისტემატიურ ხასიათს ატარებს. შეფასების მიზანია გამოავლინოს მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები, აამაღლოს სწავლის მოტივაცია, დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის პროცესის წარმართვაში, მიაწოდოს მშობელს, მასწავლებელს, ადმინისტრაციას და სახელმწიფოს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევებზე სტანდარტთან მიმართებაში და დაეხმაროს მასწავლებელს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ეროვნული სასწავლო გეგმა კარგად მოგვითხრობს მოსწავლის შეფასებაზე:

ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები ახალი, 2018 - 2024 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი შემდეგში მდგომარეობს:

თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა”.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა ასეთია:

შეფასება	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა;	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური სწავლების დონის განსაზღვრა;
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვა.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/ საფეხურზე) დაშვება/ არდაშვება

წარმატების კრიტერიუმის განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (რა დონეს ფლობდა–რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი, კომენტარი, უნარის განვითარების აღწერა.	ქულა

უზნაძე აღნიშნავს (2003), რომ სწავლის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას. „სწავლაში ძირითადი ჩვევა და ცოდნა როდია, არამედ იმ ძალების განვითარება, რომლებიც სწავლის პროცესში ღებულობენ მონაწილეობას“ (უზნაძე, 2003, გვ. 415). ამ ძალების განვითარებისათვის კი საჭიროა მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლე და უჩვენოს მას საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფის გზა.

განათლების სპეციალისტები გოუერი და საფიერი (2010), შეფასებას მასწავლებელთა რეპერტუარის გაფართოებისა და მოდერნიზაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტად განიხილავენ. მათი აზრით, შეფასების სისტემა პედაგოგებს აიძულებს სწავლების მკაფიო მიზნები დასახონ. შეფასება კარნახობს მათ თუ რა ასწავლონ, როგორ ასწავლონ, რა დრო დაუთმონ ცალკეულ თემებს და რომელი აქტივობების შესრულება სთხოვონ მოსწავლეებს. ამავდროულად, მოსწავლეების მრავალფეროვანი და ხშირი შეფასება ხელს უწყობს მათ განვითარებას. ეროვნული სასწავლო გეგმა მრავალმხრივი შეფასების უზრუნველსაყოფად სკოლებს სთავაზობს მოსწავლეთა შეფასების ორ მეთოდს - **განმსაზღვრელ** და **განმავითარებელ** შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება გვიჩვენებს თუ რამდენად ახლოსაა მოსწავლე დასახულ მიზანთან. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. შეფასების ორ ტიპს - ფორმატიული (formative) და შემაჯამებელი (summative) გვთავაზობენ განათლების უცხოელი სპეციალისტებიც. განათლების ზოგიერთი

სპეციალისტის აზრით, ფორმატიული (formative) შეფასება მასწავლებელს აწვდის ინფორმაციას მოსწავლეების პროგრესისა და ხარვეზების შესახებ (Ramaprasad, 1983). აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი გეგმავს სასწავლო პროცესს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მოსწავლის მიერ სასწავლო აქტივობების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე, ვკითხულობთ 2015 წლის 26 ივნისს ინტერნეტჟურნალ „mastsavlebeli.ge“ -ში გამოქვეყნებულ თამთა კობახიძის სტატიაში. უამრავი ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითების და დაბალი შედეგების მიღების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შეფასების სისტემის გაუმართაობაა. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლისათვის იყოს გასაგები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს რა მექანიზმებით უნდა შეაფასოს მოსწავლეები და წინასწარ გაიაზროს რა პრობლემებს შეძლება გადააწყდეს მოსწავლეთა შეფასებისას.

აღნიშნულ საკითხს ფართოდ განიხილავს რობერტ ჯ. მარზანო თავის წიგნში „Transforming Classroom Grading“. იგი აღნიშნავს: „შეფასების მთავარ მიზანს უკუკავშირი უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში. იმისათვის, რომ უკუკავშირი ეფექტური გამოდგეს, ის უნდა იყოს კონკრეტული.“

2012 წლის 4 დეკემბრის სტატიაში „მოსწავლეთა შეფასება“ (mastsavlebeli.ge) გიორგი ნოზაძის მიერ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ქვეთავში „შეფასების მეთოდები“ ჩამოყალიბებულია მოთხოვნები მასწავლებლის საშემფასებლო კომპეტენციებისადმი:

-
- ❖ „მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის;
 - ❖ იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის;

- ❖ მასწავლებელმა იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;
- ❖ მასწავლებელი აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;
- ❖ მასწავლებელმა იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;
- ❖ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩასამოყალიბებლად, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/ აღიარებისთვის და საკუთარი შედეგების გასაუმჯობესებლად“.

მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში ეს კომპეტენციები კიდევ უფრო დაზუსტებულია. მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით, მათემატიკის მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- ✓ „განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით:
- ✓ სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება და თითოეულის წონის განსაზღვრა დასახული პრიორიტეტული მიზნების გათვალისწინებით;
- ✓ შეფასების წარმოება მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად: სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი კრიტერიუმების შერჩევა-შემუშავება (შემოქმედებითობა, თანამშრომლობის უნარი, ორგანიზებულობა და სხვა);
- ✓ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და მასალის არასწორ/არასრულყოფილ გააზრებაში კანონზომიერებების აღმოჩენა.

კორექციის შესატანად შესაფერისი პროცედურების გამოყენება და სასწავლო პროცესის ადეკვატური მოდიფიკაცია;

- ✓ მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნისა და მაღალი დონის სააზროვნო კომპეტენციების შესაფასებლად ადეკვატური ხერხების შექმნა და გამოყენება”.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება გაკვეთილზე

ლია სვიმონიშვილის სტატიაში(05.05.2018წ.etaloni.ge) ნათლად არის ახსნილი, რომ მასწავლებლის ნებისმიერი კომენტარი, რომელიც შესაბამისობაშია გაკვეთილის თემასთან, არის განმავითარებელი შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, მაგრამ თუ კომენტარი არ იქნება დაკონკრეტებული და ახსნილი, ის ვერ იქნება განმავითარებელი შეფასება, მაგალითად: თუ მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და არ ავუხსნით, თუ რით დაიმსახურა ეს შექება, ის ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუკი იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე მხრივ, ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ შეიძლება ემსახუროდეს განმავითარებელი შეფასების პროცესს და ზოგჯერ – არა. მაგალითად, კითხვების დასმა ცნობილია, როგორც განმავითარებელი შეფასების მძლავრი ინსტრუმენტი. თუმცა ზოგ შემთხვევაში კითხვების დასმა ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში კი – არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე.

განმავითარებელი შეფასების უამრავი ინსტრუმენტი არსებობს, განვიხილავ რამდენიმე მათგანს.

1) **გასასვლელი ბარათები** - გასასვლელი ბილეთები განმავითარებელი შეფასების კარგი ინსტრუმენტია. მისი გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილის დასაწყისში

წინარე ცოდნის შემოწმების მიზნით, გაკვეთილის ბოლოს ახალი მასალის ახსნის შემდეგ გაგება-გააზრების ხარისხის შესამოწმებლად და ამა თუ იმ თემის დასრულებისას.

2) ათი ყველაზე მნიშვნელოვანი - ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას მოსწავლეებს შეგვიძლია შევთავაზოთ როგორც განსხვავებული, ასევე მსგავსი დავალებები. ვთხოვთ მოსწავლეებს, აღწერონ ათი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ისწავლეს მოცემული საკითხის შესახებ.

3) შიგა წრე-გარე წრე - ამ ინსტრუმენტის გამოყენება გაკვეთილს უფრო სახალისოსა და საინტერესოს ხდის. მოსწავლეები ქმნიან წრეებს. მოსწავლეთა შიგა და გარე წრეები ერთმანეთის პირისპირ დგებიან, ერთმანეთის პირისპირ მდგომ მოსწავლეთა წყვილი ერთმანეთს უსვამენ კითხვებს და პასუხობენ. ამის შემდეგ გარე წრე გადაადგილდება და იქმნება ახალი წყვილი. ეს მოქმედება რამდენჯერმე მეორდება. ამ ხერხით შეიძლება მოვახდინოთ ცოდნის ხარისხის შემოწმება. კერძოდ: დაწყებით კლასებში გამრავლების ტაბულის გამოკითხვა

4) ვინ უპასუხებს შეკითხვებს - მასწავლებელს დამზადებული უნდა ჰქონდეს ბარათების ორ კომპლექტი. ერთი შეკითხვებით, მეორე კი- პასუხებით და მოსწავლეები იღებენ თითო ბარათს. ერთი მოსწავლე წაიკითხავს შეკითხვას. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ პასუხის ბარათები ეძებენ შესაბამის პასუხს. აქტივობა არის სახალისო, ხდება ცოდნის შემოწმებაც და ამავე დროს მოსწავლეს უვითარებს დამოუკიდებლად აზროვნების უნარს.

აქტივობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ბარათების ჯაჭვურად ქცევა. ამისათვის შეკითხვები ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ პასუხები მიდიოდეს სწორი თანმიმდევრობით, არ წყდებოდეს ჯაჭვი. ერთი შეკითხვის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ამოარჩიონ, რომელი შეკითხვა იქნება მისი გაგრძელება.

5) შავი ლაქა - ტერმინი „შავი ლაქა“ ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც ბუნდოვანი და გაუგებარი საკითხი. აქტივობის გამოყენება სასურველია გაკვეთილის ბოლოს. მოსწავლეები წერილობით პასუხობენ მასწავლებელს კითხვაზე: „რა არის

დღევანდელი გაკვეთილის შავი ლაქა?“. მოსწავლეთა პასუხების ანალიზი მასწავლებელს ეხმარება მომდევნო გაკვეთილის სწორად დაგეგმვაში.

6) ჭეშმარიტია-მცდარია - ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში ხორციელდება. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები იღებენ წინასწარ დამზადებულ ბარათებს, რომლებზეც კითხვები წინასწარაა დაწერილი, მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან პასუხების გაცემაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რას ვერ იგებს ის) იპოვიან გზებს, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ვერც ერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუკი საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად გაგება/გააზრება თუ უნარის ათვისება.

რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ნინო ლაპარტყავა 2014 წლის 19 მარტს mstsavlebeli.ge-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

საქართველოში, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, განმავითარებელი შეფასების დანერგვა 2006 წლიდან დაიწყო, თუმცა უნიშნო შეფასების პრაქტიკას ჩვენში ექსპერიმენტულ დონეზე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

დომიტრი უზნაძე აღზრდის ტრაგედიის დაძლევის ერთადერთ გზად მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთნდობაზე, პატივისცემასა და თანასწორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას მიიჩნევდა.

ქალთა გიმნაზიაში 1916 წელს უზნაძემ სწორედ ნდობაზე დაფუძნებული ატმოსფერო შექმნა, რასაც, მისი აზრით, დიდად უშლიდა ხელს ქულებით შეფასება. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ნიშანი ყოველთვის სუბიექტურია, მასწავლებელი შეფასებისას ორიენტირებულია კონკრეტული საგნის მოთხოვნებზე, მოსწავლის მომავალ მიზანზე, ბავშვს კი ეს არ ესმის, ვინაიდან იგი თავისი არსით აწმყოფა

ორიენტირებული. ამიტომ პედაგოგიურმა საბჭომ, რომელსაც უზნაძე ხელმძღვანელობდა, უარი თქვა ნიშნებით შეფასებაზე. მასწავლებლები ცალკე რვეულში ინიშნავდნენ, რა იცოდნენ მოსწავლეებმა და რა – არა, მერე კი რეკომენდაციებს აწვდიდნენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

უზნაძის აზრით, უნიშნო შეფასებამ, მართალია, სამუშაო მოუმატა მასწავლებლებს, მაგრამ სწავლა უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი გახდა, მათ შორის – იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც მანამდე წარუმატებელ მოსწავლეებად მიიჩნეოდნენ. ჰუმანური პედაგოგიკის წარმომადგენლები განმავითარებელ შეფასებას შინაარსობრივ შეფასებად მოიხსენიებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს:

1. სწავლის პროცესის ხარისხზე;
2. მოსწავლის განვითარების ხელშემწყობი ამოცანების განსაზღვრაზე.

შეფასება, მათი აზრით, უნდა ყოფილიყო მასტიმულირებელი და ხელი შეეწყოს სწავლის სუბიექტად მოსწავლის ფორმირებისთვის.

ჰუმანური პედაგოგიკის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ შინაარსობრივი შეფასება უნდა ყოფილიყო როგორც გარეგანი, ისე შინაგანი – რეფლექსური. გარეგანი გულისხმობდა მოსწავლის შეფასებას თანატოლის, პედაგოგის მიერ; შინაგანი – მოსწავლის მიერ საკუთარი ნაშრომის შეფასებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეცნიერები ამ ორი მონაცემის ერთმანეთისთვის შედარებას ანიჭებდნენ.

მოსწავლე, რომელიც აფასებს თავს, თავად უნდა მონაწილეობდეს მიზნის დასახვაში, მისაღწევი გზების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლის სწავლის სუბიექტად ფორმირება, რაც ხელს უწყობს ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს. ნდობის ფორმირება კი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც სწავლა დაეფუძნება როგორც თითოეული მოსწავლის, ისე კონკრეტული კლასის საჭიროებას.

განმავითარებელი შეფასება ინგლისში ნაციონალური კურიკულუმის დონეზე 2003 წლიდან დაინერგა დაწყებით კლასებში – სტრატეგიით „ხარისხიანი განათლება – სწავლა სიამოვნებით“. მისი მიზანი სწავლის პროცესის ხელშეწყობა გახლდათ. მას შემდეგნაირად განმარტავდნენ: „მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძიებისა და ინტერპრეტაციის პროცესი მოსწავლეთა

ამჟამინდელი ცოდნის/განვითარების დონის განსაზღვრის, სამომავლოდ მუშაობის დაგეგმვისა და შედეგის მისაღები ეფექტიანი გზების საძიებლად.“

განათლების მკვლევარები მიიჩნევენ, რომ თუ მოსწავლეთა შეფასება ხდება მხოლოდ ტესტის საფუძველზე ქულებით, სწავლების პროცესი მიიმართება ტესტის წარმატებით შევსების უნარების განვითარებისკენ. ტესტები ძირითადად სტანდარტიზებულია, შეფასება აღნუსხავს, მასალის რა პროცენტი დაძლეული და არ იძლევა ინფორმაციას არც შეცდომათა ტიპებზე და არც მათი დაძლევის გზებზე, თანაც, ვინაიდან ადამიანები განვსხვავდებით ერთმანეთისგან, შეცდომებიც სხვადასხვანაირი მოგვივა და დახმარებაც სხვადასხვანაირი დაგვჭირდება.

მეცნიერთა მოსაზრებით, უნდა არსებობდეს სხვა გზაც სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

შეფასების გამოყენება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ათვისებული ცოდნის დონის განსასაზღვრად/სტანდარტებისადმი შესაბამისობის დასადგენად, არამედ სწავლის პროცესის ხელშესაწყობადაც. შეფასება ხელს უნდა უწყობდეს სწავლის პროცესში მოსწავლის ჩართულობის მატებას, ადეკვატური თვითშეფასებისა და სწავლის სუბიექტად მის ფორმირებას. ინგლისელ მკვლევართა (Black and William, 1998) მონაცემებით, განმავითარებელი შეფასება ცოდნის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორია.

ფილიპ პერენუ (Philippe Perrenoud), ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი, სწავლისა და აღზრდის ინოვაციისა და კვლევის ლაბორატორიის დამფუძნებელი, მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ერთი მოსწავლისთვის (მოსწავლეთა ჯგუფისთვის) შერჩეული სტრატეგია ოპტიმალური ვერ იქნება მეორისთვისაც. საკლასო ოთახში სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა კი, უპირველესად, შესაძლებელია იმის აღიარებით, რომ თითოეული ადამიანი უნიკალურია და მისი განვითარებისთვის აუცილებელია შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება.

შეფასების თავისებურებანი ფინეთის სასკოლო განათლებაში

დავით თინიკაშვილი თავის სტატიაში(2013 წლის 1 მაისი, mastsavlebeli.ge) ვრცლად საუბრობს შეფასების თავისებურებებზე ფინეთის სასკოლო განათლებაში (მიხეილ ბრაჟნიკი)

საზღვარგარეთული განათლების სისტემების გამოცდილების გააზრებისას ფინეთი უდავოდ დიდ ინტერესს იმსახურებს. ფინური განათლების ხარისხის მაღალი დონე მრავალი საერთაშორისო გამოკვლევით დასტურდება. PISA-ს (Programme for International Student Assessment) მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ 2006 წელს ფინეთი პირველ ადგილზე იყო საბუნებისმეტყველო განათლების სფეროში, მათემატიკასა და კითხვის კულტურაში კი მეორეზე.

რამ განაპირობა ასეთი შედეგები?

უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ, საზოგადოდ, განათლება და, კერძოდ, სასკოლო საგანმანათლებლო სისტემა პრიორიტეტს წარმოადგენს ფინეთში. მეორე – სასკოლო განათლებას დიდი ტრადიცია აქვს და, მიუხედავად განვითარების ყველა თანამედროვე ტენდენციისა, ეფუძნება საკუთარ პრინციპებსა და ფასეულობებს. მესამე – ფინეთის სასკოლო განათლების მიზანი დიდხანს იყო პიროვნების განვითარება, პიროვნებისა, რომელსაც საკუთარი ტალანტის აღმოჩენა ძალუძს. ის მუდმივად განსწავლადია და ცვალებად გარემოსთან სწრაფად ადაპტირების უნარი აქვს. ფინური სკოლის მთავარი მიზანია, ასწავლოს მოსწავლეს სწავლა.

ფინურ საგანმანათლებლო პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ხარისხი, ეფექტურობა და თანასწორობა. თანასწორობა საგანმანათლებლო პოლიტიკის ცენტრალური პრინციპია, რომელიც ორმოცი წელია მოქმედებს. ის გულისხმობს საგანმანათლებლო სერვისის სამართლიან უზრუნველყოფას, ხარისხიან სასკოლო განათლებას უკლებლივ ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად სკოლების გეოგრაფიული განლაგებისა, სამეტყველო ენისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სოციალური წოდებისა და სქესისა [3, გვ. 25].

მოსწავლეთათვის თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად გამოიძებნა რეგულირების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც სასწავლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან ინფორმაციით საკუთარი მუშაობის ეფექტურობასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ადეკვატური შეთავსების თაობაზე, როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონულ დონეზე. სწორედ ასეთ ინსტრუმენტად იქცა შეფასების სისტემა. შეფასება ხდება საგანმანათლებლო სისტემის ყოველ საფეხურზე (საწყისი,

საშუალო, უმაღლესი), რამდენადაც ის წარმოადგენს განათლების ნაციონალური სისტემის ჰარმონიზაციის საშუალებას დეცენტრალიზაციის პირობებში. ცოდნის შეფასება ფინეთში განათლების საყოველთაო მართვის საშუალებაც არის, რომლის მეშვეობითაც იკრიბება ინფორმაცია განათლების შინაარსისა და მუდმივად ცვალებად რეალობასთან ადაპტაციისთვის საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად ნაციონალურ და საერთაშორისო კონტექსტში.

კვლევამ აჩვენა, რომ ფინეთის საგანმანათლებლო სისტემაში შეფასების კონცეფცია სპეციფიკურობით გამოირჩევა. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას არა ცუდი შედეგების (მოსწრების) გამოვლენისა და მათი კონსტატაციის, არამედ სასწავლო დაწესებულებებსა და განათლების პოლიტიკის მმართველებს შორის ჰარმონიის მიღწევის გზით. შეფასებამ ბიძგი უნდა მისცეს პროგრესს, ის უნდა იძლეოდეს სასწავლო დაწესებულების მუშაობის უკეთესობისკენ წარმართვის რწმენას. შეფასების ამგვარი სისტემა არ ითვალისწინებს არც წახალისებას, არც საჯარიმო სანქციებს. შეფასების მიზანი აქ, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთა მხარდაჭერაა სკოლების მუშაობის შედეგების შესახებ მრავალფეროვანი, აქტუალური და სანდო ინფორმაციით უზრუნველყოფით. შეფასების შედეგები, ისევე როგორც ამ შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და მასალა ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. შედეგებს ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენისას. ის საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში მისაღებ გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას და, რასაკვირველია, აქტიურად გამოიყენება თავად მასწავლებლების მიერ სწავლის გაუმჯობესების მიზნით. ყოველივე ამას ერთადერთი მიზანი აქვს: ქვეყანაში განათლების ხარისხის ამაღლება. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება განათლებაში თანასწორობის პრინციპების დაცვის კონტროლისთვისაც.

შეფასების რუბრიკის შექმნის ძირითადი პრინციპები

შეფასების რუბრიკის შექმნის ძირითადი პრინციპების შესახებ გვესაუბრება ნატალია ედიშერაშვილი თავის სტატიაში (21 აპრილი, 2017 წ. ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“)

შეფასების რუბრიკის სწორად შედგენა და მისი მართებული გამოყენება ბევრი მასწავლებლისთვის პრობლემას წარმოადგენს. ხშირად მასწავლებელი რუბრიკას

მხოლოდ ნიშნის დასაწერად იყენებს და უგულებელყოფს ამ ინსტრუმენტის როგორც განმავითარებელი შეფასების მრავალმხრივ პოტენციალს, ყოველივე ეს კი ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე.

რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ რუბრიკის შექმნისა და მისი გამოყენების დროს?

ა) რუბრიკის შედგენისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაფასებთ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხს და არა კონკრეტულ დავალებას.

გამოცდილი მასწავლებლებიც კი ხშირად სწორედ აქ უშვებენ შეცდომას (გოლდბერგი და როსველი, 2000). ხშირია შემთხვევა, როდესაც რუბრიკის კრიტერიუმები სწორედ მოცემული დავალების კომპონენტებსაა მორგებული და არა სასწავლო მიზნებს. მსგავსი შეცდომა ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე. მაგალითად, როდესაც რუბრიკა დავალებასაა მორგებული, მოსწავლეებს ჰგონიათ, რომ სწორედ მოცემული დავალების შესრულებაა მათი საბოლოო მიზანი. ეს მათ ხელს უშლის, დაინახონ და კონცეპტუალურად გაიაზრონ მთავარი სასწავლო მიზანი. თუ სასწავლო მიზანია, „მოსწავლეებს განუვითარდეთ ჯგუფური მუშაობის უნარი“, ხოლო მის მისაღწევად დაიგეგმება პროექტი, შეფასების რუბრიკა სწორედ ეფექტური თანამშრომლობის ზოგად უნარებზე უნდა იყოს ფოკუსირებული (მაგ., „შეაქვს წვლილი ჯგუფურ სამუშაოში“, „პატივს სცემს სხვის მოსაზრებებს“, „ამჟღავნებს რიგითობის დაცვის უნარს“) და არა პროექტის კონკრეტული კომპონენტების შესრულებაზე (როგორცაა, მაგალითად, „პროექტის გეგმის შემუშავება“, „პროექტის წარმოსადგენი სტენდის შექმნა“).

ბ) რუბრიკის შედგენისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ფუნქცია არ არის დავალების მოთხოვნების განსაზღვრა ან კონკრეტული მახასიათებლების რიცხოზობის აღრიცხვა.

ხშირად შეფასების რუბრიკა ემსგავსება დავალების ცხრილში მოქცეულ ინსტრუქციას, რომელიც აკონკრეტებს დავალების მახასიათებლებს (მაგ., ესეი 350 სიტყვას არ აღემატება; ესეიში გამოყენებულია 10 ახალი ლექსიკური ერთეული). ამგვარი რუბრიკა მოსწავლეს კონკრეტულ დავალებას მორგებული მოთხოვნების

დაკმაყოფილებისკენ უბიძგებს და უფრო შორს მიმავალი სასწავლო მიზნების დანახვაში უშლის ხელს.

როგორ განვსაზღვროთ სწორი კრიტერიუმები?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუბრიკა შემდეგი სამი კომპონენტისგან შედგება:

- ა. სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები;
- ბ. შეფასების სკალა (მიღწევის ხარისხობრივი დონეები);
- გ. შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები.

სწორედ ამ კომპონენტების მართებულად განსაზღვრა წარმოადგენს ეფექტური რუბრიკის შედგენის წინაპირობას.

ა) შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები – მათი განსაზღვრა და შემუშავება

რუბრიკის კრიტერიუმების შერჩევას აუცილებელია, მკაფიოდ გვქონდეს განსაზღვრული მთავარი სასწავლო მიზანი (სტანდარტი), მერე კი უნდა დადგინდეს, მოსწავლის მუშაობის/ნამუშევრის რომელი კომპონენტები დაგვეხმარება იმის დანახვაში, როგორი წარმატებით მიაღწია მან ამ სასწავლო მიზანს. სწორედ ეს იქნება კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა შეფასებისას. ქვემოთ მოყვანილია შეფასების კრიტერიუმების ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალი, რომლებიც მათ ეფექტურობას განსაზღვრავს.

კარგად შერჩეული შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს:

- **სასწავლო მიზნის შესაბამისი** – თითოეული კრიტერიუმი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მიზანს; ეს არის კრიტერიუმის შერჩევის მთავარი „კრიტერიუმი“.
- **მკაფიო** – მისი შინაარსი არ უნდა იყოს ორაზროვანი, გასაგები უნდა იყოს როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის;
- **დაკვირვებადი** – უნდა აღწერდეს სამუშაოს/ნამუშევრის ისეთ ასპექტს ან ასპექტებს, რომელთა აღქმაც შესაძლებელია დამკვირვებლისთვის ხმოვანი ან ვიზუალური გზით;
- **სხვა კრიტერიუმებისგან განსხვავებული** – რუბრიკაში წარმოდგენილი ყოველი კრიტერიუმი სასწავლო მიზნის სხვადასხვა ასპექტს უნდა ეხებოდეს, კრიტერიუმებს შორის არ უნდა იყოს გადაფარვა;

- ხარისხობრივად მრავალდონიანი – კრიტერიუმი უნდა იძლეოდეს მასზე მისადაგებელი მიღწევის ინდიკატორების ხარისხობრივ დონეებად ჩაშლის საშუალებას;
- კრიტერიუმების ერთობლიობა მთლიანად უნდა ფარავდეს სასწავლო მიზანს – რუბრიკაში წარმოდგენილი კრიტერიუმების ერთობლიობა სრულყოფილად უნდა მოიცავდეს აქტივობის/დავალების სასწავლო მიზნის ყველა კომპონენტს.

რუბრიკაში წარმოდგენილი ძირითადი კრიტერიუმების გვრდით შეიძლება არსებობდეს „ფარული“ კრიტერიუმებიც (სედლერი, 1989). ეს კრიტერიუმები ეხება ასპექტებს, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია მოცემული დავალების წარმატებით შესასრულებლად, თუმცა არ წარმოადგენს ძირითად სასწავლო მიზანს და, ამდენად, არ უნდა აისახოს შეფასების რუბრიკაში.

კარგად შედგენილ რუბრიკაში წარმოდგენილია არა ყველა, არამედ მხოლოდ მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომელთა შეფასებასაც ისახავს მიზნად მოცემული დავალება. მაგალითად, ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წერისას მნიშვნელოვანია შესაბამისი წერის უნარებისა და ლექსიკის გამოყენება, მაგრამ თუ მოცემული დავალების სასწავლო მიზანია „მოსწავლეებში მეცნიერული ცნებების სწორად ინტერპრეტირებისა და კვლევითი უნარების განვითარება“, ამ შემთხვევაში „ეფექტურად წერის უნარი“ ვერ იქნება კრიტერიუმი. შესაბამისად, შესაძლებელია, ერთი და იგივე ნამუშევარი სხვადასხვაგვარად შეფასდეს, იმის მიხედვით, შეფასების რომელ კრიტერიუმებს ვირჩევთ.

ეფექტურად ფორმულირებული აღწერილობა:

- აღწერს და არ აფასებს ნამუშევარს – მიღწევის დონის აღწერილობაში ადვილად აღსაქმელი (დასანახი ან მოსასმენი) მახასიათებლებია წარმოდგენილი;
- არის გასაგები – არ იწვევს ორაზროვნებას და სავსებით გასაგებია როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის;
- მოიცავს მიღწევის ყველა შესაძლო ხარისხობრივ დონეს – თითოეული კრიტერიუმისთვის წარმოდგენილია მოსწავლის მიღწევის ყველა შესაძლო ხარისხობრივი დონე – როგორც ყველაზე დაბალი, ისე ყველაზე მაღალი;

- **დონეები ხარისხობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან** – დონეებს შორის სხვაობის დანახვა ადვილია და არ იწვევს ორაზროვნებას; შესაბამისად, ადვილია კონკრეტული ნამუშევრის კონკრეტულ დონესთან მისადაგებაც. აღწერილობაში შესაბამისი ტერმინებით/ფრაზებით ლოგიკურად და თანმიმდევრულადაა გამოკვეთილი ძირითადი სხვაობები (მაგ., ტექსტში *ამომწურავადაა* წარმოდგენილი არგუმენტები; *საკმარისადაა* არგუმენტები; *გარკვეულწილადაა* წარმოდგენილი არგუმენტები, არ არის წარმოდგენილი *არავითარი* არგუმენტი);
- **სასწავლო მიზნის შესაბამისი დონე სწორადაა წარმოდგენილი რუბრიკაში** – სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი დონეები მაღალი სიზუსტითაა აღწერილი და შეფასების სკალაზეც სწორადაა განლაგებული;
- **დონეების აღწერილობები ერთგვაროვანია** – აღწერილობები ერთმანეთისგან განსხვავდება არა თვისებრივად, არამედ ხარისხობრივად – ისინი აღწერენ ხარისხობრივ სკალაზე გადანაწილებულ *საერთო* მახასიათებლებს. შესაბამისად, ეს აღწერილობები ერთნაირადაა ფორმულირებული, სხვაობები კი შესაბამისი ტერმინებით/ ფრაზებითაა გამოკვეთილი.

მოსწავლის მუშაობის/ნამუშევრის აღწერილობა შეიძლება იყოს ზოგადი (მაგ. „მოსწავლე იყენებს პრობლემის გადაჭრის შესაბამის სტრატეგიას“) ან კონკრეტულ დავალებასზე მორგებული (მაგ. „მოსწავლე იყენებს ‘X’ განტოლებას“). როგორც წესი, ზოგადი აღწერა უფრო მიზანშეწონილი და პროდუქტიულია, თუმცა თავად უნდა განსაზღვროთ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რომელი მიდგომა უფრო შეესაბამება არსებულ საჭიროებებს.

არ არის რეკომენდებული აღწერილობაში წარმოდგენილი მახასიათებლების იმდენად დაკონკრეტება (მაგ., მახასიათებლების რიცხვის განსაზღვრა), რომ მათი მისადაგება მხოლოდ ერთ დავალებასთან იყოს შესაძლებელი და მოსწავლეებს უზღუდავდეს დავალების შესრულების გზებს (ჩეჰმენი და ინმენი, 2009, 198). მაგალითად, ნამუშევრის აღწერილობაში არ უნდა ჩავწეროთ: „ნამუშევარში წარმოდგენილია სამი არგუმენტი“ ან „წარმოდგენილია ორი ფაქტი“. ამგვარი რუბრიკა მოსწავლის შემოქმედებით უნარებს თრგუნავს და ხელს უშლის მის მეტაკოგნიტიურ განვითარებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული დონის აღწერილობის ფრთხილად ფორმულირება, რადგან მასში წარმოდგენილ თითოეულ

სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და განსაზღვრავს სწავლა-სწავლების მიმდინარეობას.

შეფასების რუბრიკის შედგენის საფეხურები

რუბრიკის შედგენისადმი ორი მიდგომა არსებობს. ესენია: დედუქციური, როდესაც პროცესს სასწავლო მიზნის განსაზღვრით ვიწყებთ და ინდუქციური, როდესაც ჯერ მოსწავლეების ნამუშევრებს ვაანალიზებთ, მერე კი ამის საფუძველზე ზოგად სასწავლო მიზანს განვსაზღვრავთ. ორივე შემთხვევაში რუბრიკის შექმნა ფრთხილ და გააზრებულ დაგეგმვას მოითხოვს.

1. სასწავლო მიზნების განსაზღვრა და შესაბამისი კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნა

უპირველესად, ნათლად უნდა ვხედავდეთ, რა სასწავლო მიზნის მიღწევას ვცდილობთ და როგორ გვხმარება მოცემული დავალება (სამუშაო) ამ მიზნის მიღწევაში. შესაბამისად, მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ მიზანი და მოვახდინოთ იმ კომპონენტების (კრიტერიუმების) იდენტიფიცირება, რომელთა სწავლებასაც ვაპირებთ.

2. რუბრიკის ტიპის, შესაბამისი კრიტერიუმების და ხარისხობრივი დონეების განსაზღვრა

მოცემულობიდან გამომდინარე უნდა განვსაზღვროთ, რომელი მიდგომაა უფრო მართებული რუბრიკის შემუშავებისას – ანალიტიკური (თითოეული კრიტერიუმისთვის წარმოვადგინოთ შესაბამისი შეფასების სკალისა და მიღწევის დონეების აღწერა) თუ ჰოლისტური (ერთიანად წარმოდგენილი კრიტერიუმებისთვის შესაბამისი სკალისა და მიღწევის დონეების აღწერა).

3. მიღწევის დონეების რაოდენობის განსაზღვრა და თითოეულის შესაბამისად აღწერა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დონეების რაოდენობა დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განვსაზღვროთ; აღწერილობაც სასწავლო მიზნების შესაბამისი უნდა იყოს – ზოგადი ან უფრო კონკრეტული.

4. რუბრიკის პრაქტიკაში გამოცდა

რუბრიკის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია, ის რამდენიმე მოსწავლეზე გამოსცადოთ, დააკვირდეთ, რამდენად მიზნობრივად და ადვილად გამოსაყენებელია ის პრაქტიკაში. მოისმინეთ კოლეგებისა და თავად მოსწავლეების მოსაზრებებიც.

რატომ არის რუბრიკის გამოყენება ასე მნიშვნელოვანი?

რუბრიკას სწავლა-სწავლების პროცესში მრავალმხრივი დანიშნულება აქვს. ის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მასწავლებელს სწავლებისა და შეფასების პროცესს უადვილებს, მოსწავლეს კი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში ეხმარება.

ა. რუბრიკა ეხმარება მასწავლებელს სწავლების პროცესში

ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელი აცნობიერებდეს, რა შედეგის მიღება სურს მოცემული დავალებისა თუ აქტივობის მეშვეობით და რა სასწავლო მიზანს ემსახურება ის.

რუბრიკის შერჩევისა თუ შედგენის პროცესში მასწავლებელმა სიღრმისეულად უნდა გააანალიზოს კრიტერიუმები, რომელთა შემოწმებასაც აპირებს კონკრეტული დავალების საშუალებით, დასვას აქცენტი იმაზე, რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ და არა იმაზე, რა უნდა ასწავლოს თავად. ყოველივე ეს მასწავლებელს ეხმარება, კონცენტრირებული იყოს არა კონკრეტულ დავალებაზე, არამედ მიზანზე; მიზანი ერთია, მისი მიღწევის გზა (აქტივობები/დავალებები) კი – მრავალი. შესაბამისად, სასწავლო მიზნის მიღწევის პროცესში მოცემული დავალება მხოლოდ ერთი დამხმარე ინსტრუმენტია. კარგად შედგენილი შეფასების რუბრიკა და მისი სწორად გამოყენება სწორედ ამის გააზრებაში ეხმარება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

ბ. შეფასების რუბრიკა მოსწავლეებს სწავლის პროცესში ეხმარება

რუბრიკა, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეებს კონკრეტული დავალებ(ებ)ის შესრულების წინ აცნობს, ეხმარება მათ საბოლოო შედეგის და წარმატების მაჩვენებლის/ინდიკატორის დანახვასა და მიღწევაში. ამასთანავე, თუ რუბრიკას განმავითარებელი მიზნებისთვის გამოვიყენებთ, მოსწავლეებს მიღწეული შედეგის გაუმჯობესების გზების დანახვაშიც დაეხმარება. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ნებისმიერი კლასის მოსწავლეს შეუძლია, თავად მიიღოს მონაწილეობა რუბრიკის შექმნაში (ჰიგინსი, ჰარისი და კოენი, 1994) და რომ ის მოსწავლეები, რომლებიც

თვითონ არიან ჩართულნი რუბრიკის შედგენისა და თვითშეფასების პროცესში, გაცილებით უკეთესი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან ამ მხრივ პასიურ მოსწავლეებთან შედარებით (ანდრე, დუდავანგი, 2008)

განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა თუ სტრატეგიებს. ყოველდღიური პრაქტიკა მეტისმეტად რთული არ არის და არც იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მეორე მხრივ, როგორც საერთაშორისო კვლევებით დასტურდება (OCED, 2005; Black and William, 1998), შედეგი იმდენად კარგია, რომ დროის დახარჯვა ღირს. თუ განმავითარებელი შეფასება ყოველდღიურ პრაქტიკად იქცევა, მომავალში ბევრ დროს დაგვიზოგავს. განმავითარებელი შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს, რეაგირება მოვახდინოთ ცვლილებებზე, კონსტრუქციულია, ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მათ ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება საკუთარი თავისა თუ სხვისი ადეკვატური შეფასების უნარის ფორმირებაში და შესაძლებელს ხდის წარმატების დაფიქსირებას.

ეფექტური განმავითარებელი შეფასება ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში და, მეორე მხრივ, მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს მოსწავლეების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე, იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

„– ხომ ვერ მეტყვი, საით უნდა წავიდე?

– გააჩნია, სად გინდა მისვლა.

– ამას მნიშვნელობა არ აქვს.

– მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, საით უნდა წახვიდე”.

(ლუის კეროლი, „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“)

თუკი თითოეული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესს მოგზაურობად აღვიქვამთ, მაშინ განმავითარებელი შეფასება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც

მოგზაურობის პროცესში მოსწავლეებისთვის გზის ჩვენება, აღნიშნავს სოფო გიორგაძე 2016 წლის 26 ოქტომბრის სტატიაში(mastsavlebeli.ge).

თავი III კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდები არის საშუალებები, რომელთა გამოყენებასაც კვლევის პროცესში ობიექტურ დასკვნებამდე მივყავართ. კვლევის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად, 1)თვისებრივ (დაკვირვება, დიალოგი, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები და ა. შ) და 2)რაოდენობრივ(ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვა, ანკეტირება და ა. შ) მეთოდებად. კვლევის თვისობრივი მეთოდის მიზანია საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა, ხოლო რაოდენობრივი მეთოდი კი განსაზღვრავს შესასწავლი საკითხის რაოდენობრივ სურათს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კვლევის სანდოობის მაღალი ხარისხის მისაღებად მიზანშეწონილია კვლევის პროცესში გამოყენებული იქნას ორივე ჯგუფის კვლევის მეთოდები.

კვლევაში აღნიშნული პრობლემის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით კვლევის პროცესში განვიხილეთ და განვახორციელეთ კვლევის მეთოდები, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი, რადგან მთი სწორად შერჩევა და განხორციელება კვლევის წარმატებისა და შედეგების ადეკვატურობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

თვისებრივი მეთოდებიდან გამოვიყენეთ ინტერვიუ, დაკვირვება და ფოკუს-ჯგუფი, ხოლო რაოდენობრივი მეთოდებიდან კი გამოვიყენეთ გამოკითხვა (ანკეტირება).

3.1. თვისობრივი მეთოდები

კვლევის თვისებრივი მეთოდებიდან გამოვიყენეთ: 1)ინტერვიუ
2) ფოკუსირებული დაკვირვება და 3)ფოკუს-ჯგუფი.

1)კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდი-ინტერვიუ.

ინტერვიუ დიალოგის თანამედროვე ფორმაა. ეს მეთოდი გამოირჩევა თავისი მიზანმიმართულებით, ჩანს პიროვნების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. აღნიშნული მეთოდი არ არის ყოველთვის საიმედო, ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, ინტერვიუება გამოიყენება, როგორც კვლევის დამატებითი მეთოდი მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ინტერვიუ განვახორციელებ სკოლის დირექტორთან (დანართი N1). ინტერვიუს მიზანი იყო გამერკვია სკოლის დირექტორის შეხედულება საკვლევი საკითხის მიმართ.

ინტერვიუ აგრეთვე განვახორციელებ ინტერვენციების ჩატარების შემდეგ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან(დანართი N2,) და მოსწავლეებთან (დანართი N3), რომლის მიზანიც იყო გამერკვია თუ რა შედეგზე გავედი ინტერვენციების განხორციელების შემდეგ.

2) კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი-ფოკუსირებული დაკვირვება.

ფოკუსირებული დაკვირვება არის მეთოდი, რომლის დროსაც მკვლევარი მკაფიოდ გამოკვეთს პრობლემას და უშუალოდ მასზე ახორციელებს დაკვირვებას. ამ მეთოდის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ის არ იძლევა საკვლევი პრობლემის სიღრმისეულ ახსნას, მისი გამოყენებით ვერ მოხერხდება კვლევისთვის სრული ინფორმაციის შეგროვება, თუმცა მისი გამოყენება ხელსაყრელია კვლევის საწყის ეტაპზე. ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია დაკვირვება იყოს ხანგრძლივი და ობიექტური.

ფოკუსირებული დაკვირვება განვახორციელებ სკოლის დირექტორისა და ფასილიტატორის დახმარებით. საკვლევი თემიდან გამომდინარე ერთობლივად განვსაზღვრეთ დაკვირვების ობიექტი, კერძოდ გაკვეთილებზე დასწრების დროს ვაკვირდებოდით მასწავლებლების მიერ საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებას, განმავითარებელი უკუკავშირის ეფექტურობასა და მოსწავლეებისათვის უკუკავშირის მიწოდების ფორმებს. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო თვალნათლივ შეგვესწავლა კვლევაში აღნიშნული პრობლემის სიმძიმის ხარისხი.

დაკვირვება განვახორციელებს სამივე საფეხურისათვის, ყოველი დაკვირვებისას ვინიშნავდი შედეგებს, შედეგების ერთობლივმა ანალიზმა კი ცხადყო, რომ პრობლემა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებასა და მოსწავლეებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის სწორად და ეფექტურად მიწოდებასთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობდა. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ არანაკლებ პრობლემას წარმოადგენდა თვით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მათი უმეტესი ნაწილი არასწორად იყო შედგენილი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ დახმარება გამიწია საკვლევ პრობლემის სწორად იდენტიფიცირებასა და დადგენაში.

3) კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდი ფოკუს-ჯგუფი.

ფოკუს-ჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს, დისკუსიის სახეობაა. ამ დროს ხდება აზრთა გაზიარება, ფოკუს-ჯგუფის წევრები უკეთ ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას პრობლემებისადმი.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სკოლის მასწავლებლები და სამივე საფეხურის მოსწავლეთა ნაწილი. მოსწავლეები შერჩეული იყვნენ განსხვავებული აკადემიური მოსწრებისა და მათი სურვილის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფოკუს-ჯგუფის დროს ყველა მონაწილეს ჰქონდა საკუთარი აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდის უპირატესობები იმაში მდგომარეობს, რომ ეს მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს, თუ როგორ ყალიბდება მონაწილეთა აზრები; დაფიქრდეს, რატომ აქვთ ამა თუ იმ საკითხზე სწორედ ასეთი მოსაზრება და არა სხვაგვარი.

ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან განვახორციელებს ორ ეტაპად: პირველი **ფოკუს-ჯგუფი** კვლევის დასაწყისში, რომლის მიზანაც იყო პრობლემის იდენტიფიცირება და გამოცდოლების გაზიარება, მეორე **ფოკუს-ჯგუფი** კი კვლევის დასასრულს, რომლის მიზანს წარმოადგენდა პრობლემის

გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მიღებული შედეგის განსაზღვრა.

3.2. რაოდენობრივი მეთოდები

კვლევის პროცესში გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი მეთოდი **ანკეტირება**. **ანკეტირება** არის ინტერვიუს სტრუქტურირებული (ფორმალიზებული) სახე. ანკეტირება მონაცემთა შეგროვების მარტივი და უპრობლემო ინსტრუმენტია. ანკეტირება ზოგავს ბევრ დროს და შრომას მონაცემთა შეგროვებისას, მაგრამ მას თავისი სირთულეები ახლავს. ანკეტირების ვარგისიანობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია კითხვების ხარისხზე. თვით მაშინაც კი, როცა კითხვა კორექტულად არის ფორმულირებული, ანკეტირების შედეგი მოსალოდნელზე ნაკლებია, რადგან იგი საკითხის სიღრმისეული დამუშავების საშუალებას ნაკლებად იძლევა. არსებობს ორი სახის ანკეტა: სახელობითი და ანონიმური.

ანონიმური ანკეტის უპირატესობა სახელობით ანკეტასთან შედარებით ის არის, რომ ხშირად ანონიმურობის დაცვის შემთხვევაში რესპონდენტი უფრო გულწრფელია და, შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები უფრო ზუსტი და სანდოა.

ანკეტირება ჩავატარე სამივე საფეხურის მასწავლებლებში(დანართი N4,N5), მოსწავლეებსა(დანართი N6,N7) და მშობლებში(დანართი N8,N9). ანკეტირება იყო ანონიმური და შედგებოდა, როგორც ღია, ისე დახურული კითხვებისაგან. **ანკეტირების მიზანი** იყო გამერკვია მათი აზრი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების და ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირის გამოყენების სიხშირისა და მნიშვნელობის შესახებ, რამაც უდავოდ დიდ დახმარება გამიწია დასმული პრობლემის გაუმჯობესების გზების დასახვაში.

3.3. მთავარი შეკითხვა/ქვეკითხვები

კვლევის მეთოდების გამოყენებისა და მონაცემთა ანალიზის შედეგად მოხდა პრობლემის სრულად იდენტიფიცირება. შესაბამისად საჭირო გახდა პასუხის გაცემა შემდეგ მთავარ შეკითხვაზე: „როგორ გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება?“

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის უამრავი ფაქტორის გათვალისწინება გახდა საჭირო, უმთავრესს კი წარმოადგენდა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ამისათვის მთავარი კითხვიდან გამომდინარე ჩამოვყალიბე

ქვეკითხვები:

1. აუცილებელია თუ არა მოხდეს არსებული რუბრიკების ანალიზი და მათში ცვლილებების შეტანა?
2. რომელი აქტივობების გამოყენება მოგვცემს აღნიშნული პრობლემის გაუმჯობესების საშუალებას?
3. როგორი ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენება შეგვიძლია და რომელია მიზანშეწონილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის?
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში შეფასების პრინციპები ეყრდნობა თუ არა სანდოობას, ვალიდობას, ობიექტურობას და გამჭვირვალებას?
5. მნიშვნელოვანია თუ არა მოსწავლეთა ჩართულობით შეფასების რუბრიკებისათვის კრიტერიუმების შერჩევა?
6. მივიღებთ თუ არა შედეგს თუ პედაგოგები(საგნობრივი კათედრის წევრები)რუბრიკების შედგენისას ითანამშრომლებენ ერთმანეთთან?
7. მოახდენს თუ არა გავლენას სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში? კერძოდ: თუკი მოსწავლის მშობლისათვის

ცნობილი იქნება შეფასების ის კრიტერიუმები და რუბრიკები, რომლითაც მასწავლებლები აფასებენ მათ შვილებს საგაკვეთილო პროცესში?

3. 4. სამიზნე ჯგუფი

ქვიტირის საჯარო სკოლაში განსახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროების კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა

1.სკოლის დირექცია

2.დაწყებითი საფეხურის 8 მასწავლებელი

3.საბაზო და საშუალო საფეხურის 17 მასწავლებელი

4.დაწყებითი საფეხურის 10 მოსწავლე

5.საბაზო და საშუალო საფეხურის 20 მოსწავლე

6.დაწყებითი საფეხურის 10 მშობელი

7.საბაზო და საშუალო საფეხურის 20 მშობელი

სამიზნე ჯგუფის ამ კატეგორიებით დაკომპლექტება განპირობებული იყო იმით, რომ ყველა მათგანი წარმოადგენს წამოჭრილი პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ მხარეს.

პედაგოგები პასუხისმგებლები არიან საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებაზე, ამასთან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია პედაგოგების მიერ მოსწავლეებისათვის დროული და ეფექტური უკუკავშირის მიწოდება. სწორედ მათი ჩართულობით დავისახე მიზნად საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების სწორად წარმოებისა და განმავითარებელი უკუკავშირის მოსწავლეებისათვის მიწოდების ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა.

მშობლები დაინტერესებულნი არიან, რომ სკოლაში მათმა შვილებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, შვილების აკადემიური ხარისხის განსაზღვრაში ეხმარებათ ის

შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელსაც მასწავლებლები აწვდიან მოსწავლეებს განმავითარებელი კომენტარების სახით, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემის გამოკვლევა და მოგვარება.

მოსწავლეები კი საგაკვეთილო პროცესში უშუალოდ ჩართული პირები არიან, რომელთა განვითარებაზე პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ეფექტიანი ან არაეფექტიანი განხორციელება.

თითოეულმა მონაწილემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კვლევის განხორციელების პროცესში.

როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ყოველი კატეგორიის თითოეული მათგანის მონაწილეობით ჩატარებული ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფის, დაკვირვებისა და ანკეტირების მეშვეობით განხორციელდა.

დირექციის თანადგომა კი აიხსნება იმ ფაქტით, რომ მის ინტერესებში შედის ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი წარმატებული მოსწავლე და წარმატებული მასწავლებელი.

3.5. კვლევის ვადები/განრიგი

N	განხორციელების დრო აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	საკვლევი თემის შერჩევა	X								
2	ლიტერატურის მიმოხილვა	X	X	X	X					
3	საკვლევი თემის აქტუალობის განსაზღვრა	X								

4	ფოკუს-ჯგუფი კვლევის დასაწყისში		X							
5	ფოკუს-ჯგუფი კვლევის დასასრულს							X	X	
6	დაკვირვება		X	X	X	X	X			
7	ანკეტირება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან		X							
8	ინტერვიუ დირექტორთან			X						
9	ინტერვიუ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან							X		
10	სტატისტიკური მონაცემების ანალიზი							X	X	
11	ინტერვენციები		X	X		X	X			
12	ინტერვენციების შეფასება და შედეგები							X	X	
13	კვლევის ანგარიშის მომზადება						X	X	X	
14	კოლეგებთან გაზიარება									X

თავი IV. კვლევის შედეგები

4. 1. სტატისტიკური მონაცემები

კვლევის საწყის ეტაპზე განვახორციელე პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების წერილობითი გამოკითხვა - ანკეტირება. გამოკითხვის მიზანი იყო


შეგროვილი მონაცემების საფუძველზე პრობლემის არსში საფუძვლიანად გარკვევა და გაუმჯობესების გზების ძიება.

გამოკითხვა ჩავატარე დაწყებითი კლასების, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

გამოკითხვაში მონაწილეობდა 25 მასწავლებელი, 30 მოსწავლე (10 დაწყებითი, 10 საბაზო და 10 საშუალო საფეხურის) და შესაბამისად 30 მშობელი.


1) კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის მონაწილეობდა 17 მასწავლებელი.

კითხვაზე: „იძლევა თუ არა სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკების გამოყენება მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას?“ 5-მა უპასუხა „კი“, 2-მა „არა“, ხოლო 10-მა „ნაწილობრივ“




კითხვაზე „იყენებთ თუ არა მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს? (კითხვა-პასუხი, შავი ლაქა, გასასვლელი ბილეთები....)“ 6-მა მასწავლებელმა უპასუხა „კი“, 3 - მა - „არა“ და 8-მ უპასუხა „იშვიათად“

„იყენებთ თუ არა მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს? (კითხვა-პასუხი, შავი ლაქა, გასასვლელი ბილეთები...)“



კითხვაზე: ქულით შეფასების შემთხვევაში აძლევთ თუ არა მოსწავლეებს განმავითარებელ უკუკავშირს და უკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს? 3-მა მასწავლებელმა უპასუხა „კი“, 5-მა „არა“ და 9-მ უპასუხა „იშვიათად“.


ქულით შეფასების შემთხვევაში აძლევთ თუ არა მოსწავლეებს განმავითარებელ უკუკავშირს და უკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს?



2. კითხვარი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის. მონაწილეობდა 8 მასწავლებელი


კითხვაზე „იძლევა თუ არა სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკების გამოყენება მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას?“ 2-მა უპასუხა „კი“, 3-მა „არა“, ხოლო 3-მა „ნაწილობრივ“

„იძლევა თუ არა სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკების გამოყენება მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას?“




კითხვაზე: ამჟამად თქვენს ხელთ არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ითანამშრომლეთ თუ არა კოლეგებთან? 2-მა უპასუხა-„კი“, 6-მა -„არა“

ამჟამად თქვენს ხელთ არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ითანამშრომლეთ თუ არა კოლეგებთან?



კითხვაზე: „აცნობთ თუ არა მშობლებს მოსწავლეთა შეფასების სქემებს და გასაგებია თუ არა მათთვის შეფასების კრიტერიუმები?“ 3-მა მასწავლებელმა უპასუხა „კი“, 5-მა - „იშვიათად“, ხოლო პასუხი „არა“ არ დაფიქსირებულა.


„იცნობთ თუ არა მშობლებს მოსწავლეთა შეფასების სქემებს და გასაგებია თუ არა მათთვის შეფასების კრიტერიუმები?“



3. კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. მონაწილეობდა 20 მოსწავლე (10 საშუალო და 10 საბაზო)


კითხვაზე: „იცნობთ თუ არა იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილის მსვლელობისას თქვენს შეფასებას?“ 8 მოსწავლემ უპასუხა „კი“, 12-მა კი - „არა“.

„იცნობთ თუ არა იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილის მსვლელობისას თქვენს შეფასებას?“




კითხვაზე: გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დავალებების მომზადებაში? 4-მა უპასუხა „კი“, 9-მ უპასუხა „არა“, 7-მა კი „ნაწილობრივ“

გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
დავალეების მომზადებაში?




კითხვაზე: მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შეფასების რუბრიკების შექმნისას კრიტერიუმების შერჩევაში? 16-მა მოსწავლემ უპასუხა - „არა“, 4-მა მათგანმა - „კი“

მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შეფასების რუბრიკების შექმნისას
კრიტერიუმების შერჩევაში?




კითხვაზე: ქულით შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი გაძლევთ თუ არა განმავითარებელ უკუკავშირს და გიკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს ?

ქულით შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი გაძლევთ თუ არა განმავითარებელ უკუკავშირს და გიკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს ?




კითხვარი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. მონაწილეობდა 10 მოსწავლე
კითხვაზე: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის თუა არა შედგენილი თქვენთვის მარტივად გასაგები ენით? 3-მა უპასუხა „კი“, 7-მა კი „არა“.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის თუა არა შედგენილი თქვენთვის მარტივად გასაგები ენით?




კითხვაზე: გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დავალებების მომზადებაში? 5-მა მოსწავლემ უპასუხა „არა“, 3-მა - „კი“, ხოლო 2-მა -

„ნაწილობრივ“




კითხვაზე: მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შეფასების რუბრიკების შექმნისას კრიტერიუმების შერჩევაში? ყველა მოსწავლემ უპასუხა „არა“



კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მშობლებისათვის. მონაწილეობდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა 20 მშობელი.


კითხვაზე: იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს? 15-მა უპასუხა „არა“, ხოლო 5-მა - „კი“.

იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს?




კითხვაზე: იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს? 5-მა მშობელმა უპასუხა „კი“, 9-მ „არა“, ხოლო 6-მა - „იშვიათად“

იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს?



კითხვაზე: ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალებას? „სრულად“ პასუხა 3-მა მშობელმა, „არა“ -უპასუხა 5-მა მშობელმა, „ნაწილობრივ“ 2-მა, ხოლო „არ ვიცი“-10-მა მათგანმა.


ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალებას?



კითხვარი დაწყებითი საფეხურის მშობლებისათვის. მონაწილეობდა 10 მშობელი


კითხვაზე: იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს? 2-მა უპასუხა - „კი“, 8-მ კი - „არა“.

იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს?




კითხვაზე: იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს? 3 მშობელი პასუხობს „კი“, 5- „არა“, ხოლო 2 მშობელი ამბობს-„კი“.

იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს?



კითხვაზე: ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალებას? 2-მა მშობელმა უპასუხა „სრულად“, 3-მა - „არა“, 1-მა ნაწილობრივ, ხოლო „არ ვიცი“ უპასუხა 4-მა.

ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალებას?



5. 2. მონაცემთა ანალიზი

კვლევაში განხილული პრობლემის შესწავლის მიზნით ჩავწერე ინტერვიუ სკოლის დირექტორთან. მისი აზრით რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს საგაკვეთილო პროცესში შეფასების რუბრიკების ეფექტურად გამოყენებას; პედაგოგებს ძალიან უჭირთ განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისათვის; არის შემთხვევები, როდესაც

რუბრიკების გამოყენება ფორმალური ხასიათისაა; მასწავლებლები იყენებენ „მასწავლებლის წიგნებში“ მოცემულ რუბრიკებს და ვერ ახერხებენ მათ კორექტირებას საჭიროების შემთხვევაში; განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები სამ დონიან შეფასების რუბრიკებს იყენებენ. სავალალოა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სკოლაში არსებული შეფასების რუბრიკების უმრავლესობა ვერ იძლევა მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას. აღნიშნული კვლევის განხორციელება ნამდვილად არის სკოლის საჭიროებაზე გათვლილი-განაცხადა მან და სრული თანადგომა გამოგვიცხადა მუშაობის პროცესში. მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დასწრებისას მოვახდინეთ შეფასების რუბრიკების გამოყენებაზე **დაკვირვება**. კვლევის ეს მეთოდი მართლაც იძლევა პროცესის მიმდინარეობის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის გენერირების საშუალებას. ადმინისტრაციასთან და ფასილიტატორთან ერთად დავესწარი რამდენიმე მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. ჩვენი დაკვირვების ობიექტი უშუალოდ მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების სწორად გამოყენება იყო, და იმის გაგება, თუ რამდენად ობიექტურად ხდებოდა მოსწავლეთა შეფასება არსებული რუბრიკებით.

ფოკუს-ჯგუფი ორ ეტაპად ჩატარდა. პირველი კვლევის დასაწყისში, მეორე კი დასასრულს.

პირველ ეტაპზე ფოკუს-ჯგუფის ჩატარების მიზანი იყო, გაგვერკვია თუ რას ფიქრობენ პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სისტემაზე. მოსწავლეთა პასუხებიდან გავიგეთ, რომ მათ ხშირად არ იციან, თუ რატომ დაიმსახურეს ესა თუ ის კომენტარი, მასწავლებლები უმეტესად შეფასებისას არ იყენებენ იმ რუბრიკებს, რომლებიც კლასებშია გამოკრული. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ თუ შეფასების რუბრიკაში ზუსტად იქნება გაწერილი რა და როგორ უნდა მოამზადონ, ეს დაეხმარებათ უფრო დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დავალებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნათელი იქნება მათთვის რას ითხოვს მისგან მასწავლებელი.

უკმაყოფილება გამოთქვეს მოსწავლეთა მშობლებმაც. ნაწილი საერთოდ არ იცნობს შეფასების რუბრიკებს, ნაწილი კი თვლის, რომ არსებული რუბრიკები არის

ბუნდოვანი და ვერ იგებენ თუ როგორ მოამზადებინონ შვილებს დავალებები რუბრიკების გათვალისწინებით.

პედაგოგები კი გამოთქვამენ გულისტკივილს, რომ განმავითარებელი შეფასება და მისი ეფექტურად გამოყენება დიდ სირთულეს წარმოადგენს, ძალიან უჭირთ რუბრიკების შედგენა და არსებული რუბრიკების გამოყენება. ისინი თვლიან, რომ რუბრიკები საჭიროებს დახვეწასა და გამარტივებას.

სწორედ მონაცემთა ანალიზი დაედო საფუძვლად შემდგომში ცვლილებების განხორციელებას და შეფასების რუბრიკების სწორი ფორმით შემუშავებასა და შედგენას.

4.3. ინტერვიუ დირექტორთან

დირექტორთან ინტერვიუ ძალიან დამეხმარა ჩემი კვლევის პრობლემური საკითხების გაანალიზებასა და ალტერნატიული გადაჭრის გზების მიგნებაში. ის როგორც არაჩვეულებრივი პროფესიონალი, კარგი ხელმძღვანელი და მენეჯერი, თანამშრომლობს ყველა პედაგოგთან, ხელს გვიწყობს პროფესიულ წინსვლაში, მასთან ინტერვიუ კიდევ ერთი დასტური იყო მისი კომპეტენტურობის თანამედროვე სწავლა-სწავლების გამოწვევებთან მიმართებაში.

დირექტორის აზრით თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი უამრავი სიახლით არის დატვირთული. აქედან გამომდინარე ის ყოველთვის დაინტერესებულია თუ როგორ ახერხებენ მისი სკოლის მასწავლებლები ფეხი აუწყონ ახალ ცვლილებებს და იყვნენ მოტივირებულნი სიახლეების დასანერგად, შესაბამისად შეკითხვაზე, ესწრებოდა თუ არა სკოლაში ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესებს, აძლევდა თუ არა მასწავლებლებს განმავითარებელ შეფასებებს და რამდენად კრიტიკული მეგობარი იყო კოლეგებისთვის ამომწურავი პასუხი მივიღე. დირექტორის თქმით, ის ხშირად ესწრება საგაკვეთილო პროცესებს, თვალყურს ადევნებს მასწავლებლების მიერ შეფასების რუბრიკების გამოყენებით მოსწავლეების შეფასების პროცესის განხორციელებას და აძლევს პედაგოგებს განმავითარებელ

შეფასებას, ესაუბრება მათ ძლიერ და წარმატებულ ნაწილებზე და ასევე შედარებით სუსტ მხარეებზეც, რაც მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი უკეთესი გაკვეთილის ჩატარებაზე და სწავლა სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

რაც შეეხება კრიტიკულ მეგობრობას, ეს არის სწორედ ის დამოკიდებულება, რასაც დირექტორი გამოხატავს კოლეგების მიმართ. კრიტიკული მიდგომა მისი აზრით, ადამიანს უბიძგებს გაიაქტიუროს თვითშეფასების უნარი და დაინახოს საკუთარი პოზიცია მაღალ აკადემიურ სტანდარტებთან მიმართებაში, და რეკომენდაციები, რომლებსაც ის მასწავლებლებს აძლევს, სწორედ რომ მეგობრულ ჩარჩოშია მოქცეული და მათივე პროფესიონალიზმის ზრდისკენ არის მიმართული.

კითხვაზე თანამშრომლობენ თუ არა მათი პედაგოგები ერთმანეთთან, დირექტორმა განაცხადა რომ მისი ურთიერთობებითა და დამოკიდებულებებით, ის პირველი ცდილობს კოლეგიალობის მაგალითის მიცემას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ განუვითარდებათ ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლის სურვილი. ის თვლის რომ მისი სკოლის გუნდი საკმაოდ მეგობრულია და წვლილი შეაქვთ ერთმანეთის წარმატებაში, ხოლო რაც შეეხება ჩემს მიერ წარმოებული კვლევისათვის მნიშვნელოვან შეკითხვას: „რამდენად უზრუნველყოფს სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების მიერ მათი გამოყენების ეფექტურობა და სიხშირე სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას?“ ,მან განაცხადა, რომ აღნიშნული რუბრიკები საჭიროებს ანალიზსა და დახვეწას, მასწავლებლები კი ამ კუთხით გარკვეული სახის დახმარებას.

მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების სწორად წარმოებაში პრობლემის არსებობა დირექტორს, ხშირ და მასიურ შემთხვევად მიაჩნია. მისი აზრით მოსწავლეებს სჭირდებათ გაცილებით მეტი კონკრეტული განმავითარებელი უკუკავშირი საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პროცესში, სწორად დაგეგმილი და შერჩეული აქტივობებითა და მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილები. ყოველივე ამის უზრუნველყოფით, აუცილებლად მიიღება უკეთესი შედეგი. პრობლემურ საკითხზე ჩატარებული კვლევა და განხორციელებული ინტერვენციები სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯებია ამ მიმართულებით.

4.4. ძირითადი მიგნებები

კვლევის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდებისა (ფოკუსირებული დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფი, გამოკითხვა, ინტერვიუ) და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის ძირითადი მიგნებები:

- ✓ მასწავლებლების უმეტესი ნაწილი არ იცნობს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სახეობებს და შესაბამისად რუბრიკები არ არის სათანადოდ შედგენილი.
- ✓ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ძირითადად იყენებენ მასწავლებლის წიგნში მოცემულ რუბრიკებს, რომელთა უმრავლესობაში კრიტერიუმები გაშლილია მხოლოდ სამ დონეზე.
- ✓ მასწავლებლების უმრავლესობამ არ იცის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა სხვადასხვა აქტივობებისათვის და შესაბამისად ვერ ახერხებენ რუბრიკების სწორად და ეფექტურად გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.
- ✓ მოსწავლეებმა არ იციან როგორ გამოიყენონ შეფასების რუბრიკები დავალების შესრულებისას
- ✓ მშობლები ვერ ერკვევიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკების არსსა და მნიშვნელობაში

თავი V. ინტერვენციები

5.1 ინტერვენციები

ინტერვენცია 1. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი.

2017-2018 სასწავლო წელს დირექციის დავალებით სკოლის ფასილიტატორმა ბატონმა კახაბერ ჩაკვეტაძემ ჩაატარა კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა თემაზე

„გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება“. ბატონმა კახაბერმა აღნიშნულ შეხვედრაზე კონკრეტულად ისაუბრა თუ როგორ უნდა დაიწეროს შერჩეული გაკვეთილის გეგმა და როგორ შევადგინოთ ამ კონკრეტული გაკვეთილისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიუხედავად ამისა, მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ განმავითარებელი რუბრიკების შექმნა და მათი მიზანმიმართულად გამოყენება სკოლაში მაინც პრობლემას წარმოადგენს. წერილობითი გამოკითხვისას ერთ-ერთი კითხვა, რომელიც მასწავლებლებს დავუსვი შემდეგში მდგომარეობდა: „ამჟამად თქვენს ხელთ არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა მოსწავლეების ობიექტურად შეფასების საშუალებას და ხომ არ ფიქრობთ, საჭიროებს თუ არა დახვეწასა და ცვლილებების შეტანას?“, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილის აზრით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გადახედვა ნამდვილად იყო საჭირო. კვლევის მიზნის განხორციელებისათვის გავითვალისწინე და გამოვიყენე მათი მოსაზრებები და დავგეგმე პირველ ინტერვენციად „კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი.“, დაგეგმილი ინტერვენციის მიზანია: „სკოლაში არსებული და მოქმედი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების განხილვა-ანალიზი და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად მათში ცვლილებების შეტანა“

ინტერვენციის აღწერა: ინტერვენციის ფარგლებში მოვაწყვე სამუშაო შეხვედრა ცალკე დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან და ცალკე საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან.

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას აკეთებენ, ძირითადად ორიენტირებულნი არიან ზეპირი კომენტარების გაკეთებაზე, თუმცა მათი გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებს რუბრიკების სწორად გამოყენებას და ეფექტური განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ ისინი ძირითადად იყენებენ იმ რუბრიკებს, რომლებიც მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნებში არის მოცემული.

შეხვედრაში მონაწილეობდა დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის 8 მასწავლებელი. შეხვედრის დაწყებამდე მათ ვთხოვე თან ჰქონოდათ ნაბეჭდი ვერსიები ყველა იმ რუბრიკებისა, რომლებსაც ისინი იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ვიდრე უშუალოდ რუბრიკების ანალიზზე გადავიდოდით კოლეგებს კიდევ ერთხელ ვესაუბრე განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე სწავლების პროცესში და დეტალურად გავაცანი ყველა ის მოთხოვნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასთან, მათ სწორად გამოყენებასთან და განმავითარებელი უკუკავშირის ფორმებზე, რომლებიც გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელიც შეგვხვდა არის ის, რომ მასწავლებლის წიგნებში უმეტესად დაწყებით საფეხურზე შეფასების რუბრიკები გაშლილია სამ დონეზე, არადა ეროვნული სასწავლო გეგმა რუბრიკების ხუთ დონეზე გაშლას ითვალისწინებს.

მასწავლებლებს ასევე შევახსენე, რომ სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოხდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შედგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა/ დამტკიცება, სადაც ვკითხულობთ, თუ რა არის ზოგადად შეფასების მიზანი, მოსწავლის შეფასების ამოცანები და როგორი შეფასების სისტემა არის დანერგილი ქვიტირის საჯარო სკოლაში. კერძოდ მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

შეხვედრაზე დეტალურად განვიხილეთ თითოეული მათგანის მიერ წარმოდგენილი რუბრიკები, ვისაუბრეთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე და ნიმუშად ერთობლივად შევადგინეთ მათემატიკაში მოსწავლის მიერ შესრულებული საშინაო დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ჩამოვწერეთ კრიტერიუმები, რომლითაც შევაფასებდით მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას, გავითვალისწინეთ ის ფაქტიც რომ საშინაო დავალება შეიძლება იყოს როგორ წერილობითი ასევე ზეპირი, ამასთან კრიტერიუმები უნდა იყოს ჩამოყალიბებული მოსწავლისათვის მარტივად გასაგები ენით. ჩამოწერილი კრიტერიუმებიდან შევარჩიეთ კრიტერიუმები, რომლებიც უფრო პრიორიტეტულად

მივიჩნიეთ, თითოეული კრიტერიუმი ჩავშაღეთ 5 დონეზე, მოვათავსეთ ცხრილში და შევქმენით „განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშინაო დავალების შემოწმებისათვის“

დონეები კრიტერიუმები	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
საშინაო დავალების გაგება-გააზრება	ვერ იაზრებს დავალების ვერცერთ პუნქტს.	ცდილობს, მაგრამ დავალების მცირე ნაწილის გაგებას ახერხებს.	ცდილობს, მაგრამ უჭირს დავალების უმეტესი ნაწილის გაგება	ცდილობს და ახერხებს კიდეც დავალების უმეტესი ნაწილი სწორად გააზრებას	დავალების ყველა ნომერი და სავარჯიშო სრულყოფილად აქვს გააზრებული
დავალების შესრულება და მისი ხარისხი	დავალების უმნიშვნელო ნაწილი აქვს შესრულებული და ისიც შეცდომებით	დავალების მცირე ნაწილი აქვს შესრულებული და დაშვებული აქვს მექანიკური შეცდომები	დავალების უმეტესი ნაწილი შესრულებული აქვს, მაგრამ ამოხსნისას დაშვებული აქვს შეცდომები.	დავალემა თითქმის შესრულებული აქვს, მაგრამ ამოხსნისას დაშვებული აქვს მექანიკური შეცდომები.	დავალების ყველა პუნქტი სრულყოფილად და უშეცდომოდ აქვს შესრულებული
ნაწერის სისუფთავე	ნაწერი არ არის, ან თუ არის არ იკითხება	ნაწერს აკლია სისუფთავე, შეცდომები გადახაზული და გამუქებულია	ნაწერი არის სუფთა, მაგრამ ჭირს წაკითხვა	ნაწერი იკითხება კარგად, მაგრამ აკლია სისუფთავე.	ნაწერი არის სუფთა და გასაგები

შექმნილი ნიმუშის მიხედვით თითოეული საგნის მასწავლებელმა იმუშავა დამოუკიდებლად და შეადგინა მსგავსი სქემა საკუთარი საგნისათვის (იხ. ზოგიერთი ნიმუში, დანართი N10) მოვახდინეთ შექმნილი რუბრიკების ერთობლივი განხილვა. შედეგიც მივიღეთ. მასწავლებლებმა დამოუკიდებლად ნიმუშის გამოყენებით მცირე ხარვეზებით მაგრამ სწორი პრინციპით შეძლეს ერთი კონკრეტული დავალებისათვის (მიზნის გათვალისწინებით) განმავითარებელი რუბრიკის შექმნა.

ყურადღება გავამახვილეთ ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის მიწოდებაზე მოსწავლეებისათვის. ნიმუშად კვლავ მათემატიკის შეფასების რუბრიკა გამოვიყენე და მასწავლებლებს დავუკონკრეტე თუ როგორ უნდა გამოიყენონ შეფასების კრიტერიუმები უკუკავშირის მიწოდებისას. ამ შემთხვევაში დაცული იქნება განმავითარებელი უკუკავშირის ყველა მოთხოვნა: საუბარი წარიმართება

სტანდარტის ენით, უკუკავშირი იქნება კონკრეტული და ორიენტირებული იქნება მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შექმნილი რუბრიკების მაგალითზე შეექმნათ ყველა ის რუბრიკა, რომელიც მათ ჭირდებოდათ თავიანთი საგნის სწავლებისათვის, გამოეყენებინათ საგაკვეთილო პროცესში და ჩაენიშნათ მიღებული შედეგები.

სამუშაო შეხვედრა საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლებთან წინა შეხვედრის მსგავსად წარიმართა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ მოსწავლეები განმავითარებელ შეფასებასთან ერთად ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებითაც. ერთობლივად შევქმენით ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა და კრიტერიუმების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ მოსწავლეებისათვის უკუკავშირის მიწოდების ფორმებზე.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი მოსწავლეებს ქულით შეფასების დროს არ აწვდიან განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეების თქმით, მათთვის გაუგებარია თუ რისთვის დაიმსახურეს მიღებული ქულა და საჭიროების შემთხვევაში რა უნდა გააკეთონ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად. მოსწავლეების მიერ გამოთქმული შენიშვნა სამართლიანია, რადგან მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მიაწოდოს მოსწავლეებს კონკრეტული და ეფექტური უკუკავშირი.

ინტერვენცია 2. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისათვის კრიტერიუმების შერჩევა და რუბრიკების შექმნა

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ განისაზღვრება მასწავლებლების მიერ, თეორიებში ვხვდებით მოსაზრებებს, (ტყემალაძე 2008) რომ მოსწავლეების მიერ შედგენილ შეფასების კრიტერიუმებს გაცილებით დიდი გამოყენების პერსპექტივა გააჩნია და ამ შემთხვევაში მოსწავლეები უფრო კარგ შედეგებზე გადიან. მათ თავიანთი შედგენილი რუბრიკები ეხმარებათ საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასებაში, შეუძლიათ გააცნობიერონ, რას მოითხოვს მათგან მასწავლებელი, ამით კი შეფასების პროცესი გამჭვირვალეობას იძენს.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხებისა და ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით გადაწყვიტე მოსწავლეები გამეხადა განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შერჩევისა და რუბრიკების შექმნის თანამონაწილეებად.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევაში მონაწილეობას იღებდა 10 დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასი), 10 საბაზო საფეხურის (VII-IX კლასი) და 10 საშუალო საფეხურის (X-XII კლასი) მოსწავლე.

მეორე ინტერვენციის ფარგლებში მოვაწყვე ორი სამუშაო შეხვედრა: 1) დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და 2) საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან.

ინტერვენციის მიზანი იყო: მოსწავლეთა ჩართვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისათვის კრიტერიუმების შერჩევაში

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრისას განვახორციელე რამდენიმე მოსწავლეებისათვის სახალისო და საინტერესო აქტივობა. შეხვედრა წარვმართე გაკვეთილის მსგავსი ფორმატით.

აქტივობა 1. მოსწავლეებს უკვე ნასწავლი საკითხების ირგვლივ მივეცი დამოუკიდებელი სამუშაო: ა) $132591:3+725)-1080:9+2014=?$ და ბ) $(x + 18 \cdot 5) - 20 = 80$. არ მიმიცია დრო და მკაფიო ინსტრუქცია. მოსწავლეთა ნაწილმა დავალების შესრულებას წარმატებით გაართვა თავი, თუმცა იყო შეცდომებიც, რომელთა გამოსწორებაც გარკვეულ მითითებებსა და რეკომენდაციებს, ანუ ეფექტურ განმავითარებელ უკუკავშირის მიწოდებას საჭიროებდა.

აქტივობა 2. მოსწავლეები დავყავი 2 ჯგუფად და მივეცი მათ ერთიდაიგივე სამუშაო შესასრულებლად. დავალება შემდეგში მდგომარეობდა: მოსწავლეებს შევთავაზე თამაში „ტანგრამი“. (დანართი N11) ამ შემთხვევაშიც მოსწავლეებისათვის არ მიმითითებია სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო და ინსტრუქციაც ზოგადი და ბუნდოვანი იყო შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებით. ორივე ჯგუფმა

დავალემა შეასრულა, ერთმა ჯგუფმა დავალემა მალე შეასრულა, მოუხდათ ლოდინი ვიდრე მეორე ჯგუფი დავალემას ბოლომდე შესრულებდა.

აქტივობა 3. მოსწავლეებს შევთავაზებ ამოსახსნელად ერთი ამოცანა (დანართი N12), რომლის ამოსახსნელად საჭირო იყო პრობლემის გამოკვეთა, პრობლემის ანალიზი და უკეთესი ამოხსნის გზის მოძიება.

თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად ერთობლივად მოვახდინე ნამუშევრების შემოწმება/შეფასება. ის მოსწავლეები, რომელთაც გაუჭირდათ დავალემა შესრულება კითხულობდნენ-„როგორ ამოვხსნათ“?, ჯგუფური მუშაობისას გამოთქვეს საყვედური, რომ კარგად ვერ გაიგეს დავალემა შინაარსი, პრეზენტატორის შერჩევისას ჯგუფის წევრებს შორის გაჩნდა გულისწყვეტა, ერთმანეთს საყვედურობდნენ იმ დროის გამო, რომელიც მეორე ჯგუფს ზედმეტად დაჭირდათ დავალემა შესრულებისას. ამოცანის ამოხსნისას კი პირობის გააზრებისა და პრობლემის გამოკვეთის პროცესში მოსწავლეები ერთმანეთს არ აცლიდნენ პასუხების გაცემას, არ იზიარებდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, არ საუბრობდნენ მათემატიკური ენით და კიდევ უამრავი ისეთი ფაქტორი გამოიკვეთა, რომელთა ფონზე სამუშაო პროცესი ძალზედ ქაოსური გამოდგა. მაშინ მოსწავლეებს მივმართე კითხვით: „როგორ მოვაგვაროთ აღნიშნულ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემები და როგორ შევაფასოთ ნამუშევრები?“, და მოსწავლეებმა დაიწყეს მათთვის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ხელისშემშლელი ფაქტების ჩამოთვლა:

- ✓ სამუშაოსთვის არ გვქონდა განსაზღვრული დრო
- ✓ დავალემა იყო ძალიან ბევრი და ვერ გავიგეთ რამდენი უნდა გავკვეთებინა
- ✓ როგორ გამოვასწორო დაშვებული შეცდომა
- ✓ დავალემა ბოლომდე რომ ვერ დავასრულე როგორ შემეფასებთ ნამუშევარს?
- ✓ პრეზენტაცია ვინ უნდა გააკეთოს?
- ✓ მე არ დამასრულებინეს ჩემი აზრი პასუხის გაცემისას
- ✓ ჩემი ჯგუფის წევრებიდან მხოლოდ ერთი მეხმარებოდა ჯგუფური მუშაობის დავალემა შესრულებისას
- ✓ არ ჰქონდათ ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო ნივთები და ა. შ

ყველა ამ კითხვაზე მოსწავლეებმა თავად გასცეს პასუხები: მათ დავუსვი შეკითხვა: „მაინც, რა უნდა გაგეთვალისწინებინათ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას?“. მოსწავლეთა პასუხები იყო შემდეგი:

- გვცოდნოდა დრო
- დავალების ზომა განსაზღვრული ყოფილიყო
- მასწავლებელს მოეცა მითითება
- ნაწერი ყოფილიყო გასაგები და სუფთა
- მასწავლებელს აეხსნა შეცდომის დაშვების მიზეზი

„რა უნდა გაგეთვალისწინებინათ ჯგუფური მუშაობის დროს?“. ამ შემთხვევაშიც მოსწავლეები სამართლიანად ითხოვდნენ:

- გვცოდნოდა დრო და უფრო სწრაფად ვიმუშავებდით
- მასწავლებელს კარგად აეხსნა თუ რა უნდა გაგვეკეთებინა
- ხელს გვიშლიდა მეორე ჯგუფის ხმაური
- არ მონაწილეობდა ჯგუფის ყველა წევრი მუშაობაში
- როგორ შევარჩიოთ პრეზენტატორი?
- პრეზენტაციის მოსმენისას ვერ გავიგე როგორ შეასრულეს დავალება

ხოლო ამოცანის ამოხსნის შემთხვევაში მოსწავლეები ამბობდნენ

- ჩემი მოსაზრება არ გაითვალისწინეს, თორემ გაგრძელდებოდა ამოხსნა
- არ მაცლიდნენ აზრის ბოლომდე გამოთქმას,
- უნდა ჩამოგვეწერა ყველა ამოხსნის გზა და შეგვერჩია საუკეთესო ვარიანტი და ა. შ

მოსწავლეთა პასუხები ჩამოვწერე ფლიფჩარტის ფურცელზე და მოსწავლეებს ვკითხე, რას გააკეთებდნენ ისინი იგივე შეხვედრას ახლა რომ იწყებდნენ თავიდან და თავდ იყვნენ მასწავლებლები? მოსწავლეებმა ამოარჩიეს აუცილებელი პუნქტები ჩამოწერილი პასუხებიდან, რომლებიც თავისთავად უკვე გამოვიდა შეფასების კრიტერიუმები, რომელთა წინასწარ ცოდნა და გათვალისწინებაც მათ უკეთეს შედეგამდე მიიყვანდათ.

დასასრულს მოსწავლეებს მივეცი **დავალება**: მოეფიქრებინათ თითოეულ საგანში ერთი აქტივობა(მაგალითად ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტექსტის კითხვა, ბუნებაში გაკვეთილის თხრობა და ა. შ) და ჩამოეწერათ ამ აქტივობის შეფასების კრიტერიუმები და მოეტანათ ჩემთვის.

ყველა მოსწავლე პასუხისმგებლობით მოეკიდა საკითხს. მათ მიერ მოტანილი კრიტერიუმების ჩამონათვალი საჭიროებდა გადახედვას, კორექტირების შეტანასა და შერჩევას.

მსგავსი შეხვედრა ჩავატარე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთანაც. მათთან გაცილებით უფრო საინტერესო იყო მუშაობა, რადგან ისინი ასაკით უფრო დიდები არიან და მსჯელობენ უფრო გააზრებულად და არგუმენტირებულად. მათაც შევთავაზე ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით მსგავსი აქტივობები(დანართი N13,N14,N15), მუშაობდა ოთხი ჯგუფი, მაგრამ განსხვავებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისა, ისინი შევაფასე განმსაზღვრელი შეფასებით და მოსწავლეებმა მაშინვე მოითხოვეს ახსნა, თუ რატომ დაიმსახურეს მიღებული ქულა და რა შეეშალათ.

აღნიშნულ შეხვედრაზეც ჩამოვწერე ყველა კითხვა, რომლებზე პასუხის გაცემასაც მოსწავლეები ითხოვდნენ და მივიღეთ რომ კითხვებზე პასუხები თავისთავად წარმოადგენდა შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლეებს მივეცი დავალება სხვა საგნებისთვისაც შეერჩიათ ერთი აქტივობა, ჩამოეწერათ შეფასების კრიტერიუმები და მოეტანათ. ყველა მოსწავლემ მოიტანა საკუთარი ნაშრომი. ისინი აქტიურად ჩაერთნენ მუშაობაში, რადგან გაიაზრეს, რომ მათ მიერ შერჩეული კრიტერიუმები გათვალისწინებული იქნებოდა მათი ცოდნის შესაფასებლად.

ინტერვენცია 3. სამუშაო შეხვედრა საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან.

მესამე ინტერვენციის ფარგლებში მოვაწყვე სამუშაო შეხვედრა საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეებთან. აღნიშნული ინტერვენციით მიზნად დავისახე

მეზრუნა არა მხოლოდ საკვლევი პრობლემის გაუმჯობესებაზე, არამედ ხელი შეემწყობს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის კულტურის განვითარებისათვის.

კათედრის ხელმძღვანელებს გადაეცემა მოსწავლეების მიერ შერჩეული კრიტერიუმები. ერთობლივად შევადგინეთ მათემატიკაში ერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საგნის სტანდარტისა და მოსწავლეების მიერ შერჩეული და კორექტირებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მათემატიკაში

დონეები კრიტერიუმები	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
მათემატიკური ცნებების/ტერმინების ცოდნა	დახმარების გარეშე ვერ აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს, უჭირს მაგალითების მოყვანა	არასრულყოფილად აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს უჭირს მაგალითებისა და ფორმულების დასახელება	ძირითადად აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს, უჭირს მაგალითებისა და ფორმულების დასახელება.	იცის მათემატიკური ცნებები და ტერმინოლოგია, მოჰყავს მაგალითები.	ყოველთვის იცის მათემატიკური ცნებები, ტერმინები, მოჰყავს შესაბამისი ფორმულები, ამყარებს თავის ნათქვამს მაგალითებით პრაქტიკული მუშაობით
კავშირი არითმეტიკულ გამოსახულებებსა და ამოცანებს შორის	დახმარების გარეშე ვერ ამყარებს კავშირს მათემატიკურ გამოსახულებებსა და ამოცანებს შორის.	არასრულყოფილად ამყარებს კავშირს მათემატიკურ გამოსახულებებსა და ამოცანებს შორის.	ძირითადად ამყარებს კავშირს მათემატიკურ გამოსახულებებსა და ამოცანებს შორის.	ამყარებს კავშირს სხვადასხვა ამოცანებსა და გამოსახულებებს შორის. იშვიათად უშვებს შეცდომებს.	ყოველთვის ამყარებს კავშირს მათემატიკურ გამოსახულებებსა და ამოცანებს შორის. შედეგი მიღწეულია.

გამოთვლები	ვერ ასრულებს გამოთვლებს. შედეგი არაადეკვატუ რია.	არასრულყოფი ლად ასრულებს გამოთვლებს, შედეგი არასრულფასო ვანია.	გამოთვლები მეტ- ნაკლებად სწორია, თუმცა შეიცავს უმნიშვნელო ხარვეზებს.	გამოთვლები სწორია, თუმცა შეიცავს ტექნიკურ ხარვეზებს.	გამოთვლები სწორია, გამოყენებულ ი აქვს გამოთვლების ოპტიმალური ხერხი
-------------------	---	--	---	---	--

კათედრის თავმჯდომარეებს კი დაევალებათ დაეგეგმათ კათედრის სხდომები და მათი საგნის სპეციფიკის, საგნის სტანდარტისა და მოსწავლეების მიერ შერჩეული კრიტერიუმების გათვალისწინებით ერთობლივად შეექმნათ საჭირო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები ხუთ დონეზე იქნებოდა ჩაშლილი. შექმნილი რუბრიკები გამოყენებინათ სასწავლო პროცესში და მოეხდინათ შედეგების შეფასება.

აგრეთვე, კათედრის ხელმძღვანელებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა, კათედრის თითოეულ წევრს უზრუნველყო რომ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გამოეკრათ საკლასო ოთახებში და საჭიროების შემთხვევაში ნაბეჭდი ვერსიები გადაეცათ პირადად მოსწავლეებისთვისაც. ამასთანავე დირექციასთან შეთანხმებით, მასწავლებლებს გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები, რომელშიც საუბარია განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და რუბრიკების გამოყენების აუცილებლობაზე) და დაევალებათ კლასის ხელმძღვანელების დახმარებით აღნიშნული ბუკლეტები მიეწოდებინათ მშობლებისათვის.

ინტერვენცია 4. კათედრის სხდომაზე სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა.

გამომდინარე იქედან, რომ ვარ დაწყებითი კლასების კათედრის თავმჯდომარე, მეოთხე ინტერვენციის ფარგლებში მოვაწყვე კათედრის სხდომაზე კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა. ინტერვენცია მიზნად ისახავდა მოსწავლეების მიერ შერჩეული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შედგენას და რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით მოსწავლეებისათვის

განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას. შეხვედრაზე განვიხილეთ მოსწავლეების მიერ შერჩეული კრიტერიუმები, მოვახდინეთ მათი დახარისხება, კორექტირება და თითოეული საგნისათვის შევადგინეთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, **აქ ცავდებ რამდენიმე რუბრიკას** შედგენილი რუბრიკების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით კი ვიმსჯელებთ და ერთობლივად ჩამოვაყალიბებთ განმავითარებელი უკუკავშირი. მნიშვნელოვანია და აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ კვლევის ფარგლებში განხორციელებული პირველი ინტერვენციის გათვალისწინებით, მასწავლებლებმა უკვე შეძლეს დამოუკიდებლად რუბრიკაში კრიტერიუმების დონეებად სწორად ჩაშლა. მასწავლებლებს დაევალოთ შექმნილი რუბრიკები გამოეყენებინათ საგაკვეთილო პროცესში და მოეხდინათ რუბრიკების გამოყენებით მიღებული შედეგების შეფასება. ამასთან, კათედრის თითოეულ წევრს ვთხოვე, რომ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გამოეკრათ საკლასო ოთახებში და საჭიროების შემთხვევაში ნაბეჭდი ვერსიები გადაეცათ პირადად მოსწავლეებისთვისაც. ამასთანავე დირექციასთან შეთანხმებით, მასწავლებლებს გადავეცი საინფორმაციო ბუკლეტები, რომელშიც საუბარია განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და რუბრიკების გამოყენების აუცილებლობაზე) და დაევალოთ კლასის ხელმძღვანელების დახმარებით აღნიშნული ბუკლეტები მიეწოდებინათ მშობლებისათვის.

6. 2. ინტერვენციების მიზანი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებს საჭიროების კვლევის განხორციელება მიზნად ისახავდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენის, მათ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებისა და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდების ფორმების გაუმჯობესების გზების ძიებას. ამისათვის კვლევის პროცესში დავგეგმე და განვახორციელე ოთხი ინტერვენცია.

პირველი ინტერვენცია-„კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი“ მიზნად ისახავდა სკოლაში ამჟამად მოქმედი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების განხილვასა და გაანალიზებას და მათში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით ცვლილებების შეტანას.

ჩემ მიერ განხორციელებული **მეორე ინტერვენცია** „განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისათვის კრიტერიუმების შერჩევა და რუბრიკების შექმნა“, მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ჩართვას განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისათვის კრიტერიუმების შერჩევაში.

მესამე ინტერვენცია დავგეგმე და განვახორციელე საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეებთან-„**სამუშაო შეხვედრა საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან**“. აღნიშნული ინტერვენციით მიზნად დავისახე მეზრუნა არა მხოლოდ საკვლევ პრობლემის გაუმჯობესებაზე, არამედ ხელი შემეწყო მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის კულტურის განვითარებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში ვხელმძღვანელობ დაწყებითი კლასების კათედრას, **მეოთხე ინტერვენციის** განხორციელება უშუალოდ დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან მომიხდა-„**კათედრის სხდომაზე სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა**“. ინტერვენცია მიზნად ისახავდა მოსწავლეების მიერ შერჩეული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შედგენას და რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით მოსწავლეებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას.

ოთხივე განხორციელებული ინტერვენცია კი ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა, გაგვეცა პასუხი საკვლევ კითხვაზე: „როგორ გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება?“.

თითოეულ ინტერვენციის განხორციელებისას დასახული მქონდა კონკრეტული მიზანი, რომლის მიღწევაც ვფიქრობდი კვლევაში აღნიშნული პრობლემის გაუმჯობესებაში გარკვეულ წვლილს შეიტანდა. თითოეული

ინტერვენციის პროცესი ორიენტირებული იყო მოსწავლეზე, მათ საჭიროებებზე, ითვალისწინებდა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, როგორც მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებში, რადგან თანამშრომლობა და გუნდურობა წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ფუნდამენტური წინაპირობაა.

დაგეგმილი ინტერვენციების მიზანი იყო იმ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებდნენ სასწავლო პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მასში ცვლილებების შეტანა, მოსწავლეთა ჩართვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შერჩევაში, მასწავლებელთა ურთიერთ-თანამშრომლობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში.

ვფიქრობ თითოეულმა განხორციელებულმა ინტერვენციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევაში აღნიშნული პრობლემის გაუმჯობესებაში.

5. 3. ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების შეფასების მიზანს წარმოადგენდა გამეგო:

- დაეხმარა თუ არა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სასწავლო პროცესში კვლევაში წარმოდგენილი პრობლემის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები.

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად განვახორციელე ფოკუს-ჯგუფი და ჩავწერე ინტერვიუ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან.

ინტერვიუს პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით დაეხმარათ მათ პრობლემის გაუმჯობესებაში განხორციელებული ინტერვენციები. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ პირველი ინტერვენცია ღირებული იყო მათთვის, რადგან კარგად გაიაზრეს იმ რუბრიკების ნაკლი, რომლებსაც ისინი იყენებდნენ საგაკვეთილო პროცესში, ერთი ნიმუშის შექმნით კი მათ საშუალება მიეცათ საკუთარი საგნისთვის სხვადასხვა აქტივობისათვის ერთობლივად შექმნილი რუბრიკის მსგავსად შეექმნათ საჭირო განმავითარებელი

შეფასების რუბრიკები. მეორე ინტერვენციის უპირატესობად იმ ფაქტს თვლიან, რომ მოსწავლეების ჩართვა კრიტერიუმების შერჩევისას მოსწავლეებს აკისრებს უფრო მეტ პასუხისმგებლობას, ამასთან მოსწავლეებისათვის გასაგებია თითოეული კრიტერიუმის მიერ მათთვის წაყენებული მოთხოვნები. მესამე ინტერვენციას კი დადებითად აფასებენ, ვინაიდან მათი აზრით კოლეგებთან ერთად მუშაობა გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდა და შედეგიც მივიღეთ. ერთობლივად ურთიერთთანამშრომლობით დაგეგმილი გაკვეთილები და კონკრეტულად ამ გაკვეთილებისათვის შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მათ გამოიყენეს სამოდელო და შიდა დაკვირვების გაკვეთილებზე. მათი თქმით განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში ისინი უფრო თავისუფლად აკეთებენ განმავითარებელ უკუკავშირს, რადგან შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით ეჭვი აღარ ეპარებოდათ კომენტარების სისწორესა და ეფექტურობაში. მასწავლებლები განსაკუთრებულად აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ მოსწავლეებიც აღარ გამოთქვამენ უკმაყოფილებას და აღარ სვამენ დამატებით კითხვებს შეფასებასთან დაკავშირებით, რადგან იცნობენ შეფასების რუბრიკებს და გააზრებული აქვთ თითოეული კრიტერიუმის მოთხოვნა, ისინი თავადაც კი ახერხებენ საკუთარი ცოდნის ხარისხის შეფასებას. მეოთხე ინტერვენცია უშუალოდ განკუთვნილი იყო დაწყებითის საფეხურის მასწავლებლებისთვის და მათი თქმით მეტად ღირებული, რადგან ერთობლივად გაკეთებული ნებისმიერი საქმე მეტი შედეგის მომტანია, ისინი უკვე იცნობენ შეფასების რუბრიკების შექმნის პრინციპებს და მათთვის სირთულეს აღარ წამოადგენს შეფასების რუბრიკების შექმნა და მათი გამოყენებით განმავითარებელი შეფასების გაკეთება. დაწყებითი კლასების მასწავლებლების აზრით განხორციელებული კვლევა და მასში მონაწილეობა განსაკუთრებით მათთვის იყო მნიშვნელოვანი, რადგან დაწყებით საფეხურზე არ ხდება მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი შეფასებით და ისინი ორიენტირებულნი არიან ზეპირ და წერილობით უკუკავშირებზე.

გარდა მასწავლებლებისა, ფოკუს ჯგუფის განხორციელებისას მოსწავლეებმაც შეაფასეს კვლევის პროცესში დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები. მათთვის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეორე ინტერვენცია, რადგან მათი თქმით „ისე ჩამოაყალიბეს შეფასების კრიტერიუმები, რომ ვერც კი

გაიგეს, ისინი ხომ გამოსავალს ეძებდნენ შექმნილი ქაოსური სიტუაციიდან“. ამასთან მათთვის მნიშვნელოვანია შეფასების რუბრიკების არსის ცოდნა და კრიტერიუმების გააზრებული გაგება, რადგან შეფასების რუბრიკები დიდ დახმარებას უწევს თითოეულ მათგანს დავალების მომზადებაში. მათ აღარ უწევთ ზედმეტი შრომა, კონკრეტულად იციან რას ითხოვს მათგან მასწავლებელი შესაბამისი დავალების რუბრიკის მიხედვით და თავად შეუძლიათ შეაფასონ რა საკუთარი ცოდნის ხარისხი.

5.4 ინტერვენციების შედეგები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერვენციებმა გარკვეული წვლილი შეიტანა პრობლემის გაუმჯობესებაში. მასწავლებლების მიერ ჩატარებული სამოდულო და შიდა დაკვირვების გაკვეთილებზე დასწრებით დაკვირვების შედეგად განხორციელებული ინტერვენციები დადებითად შეაფასა დირექციამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მიღებულ შედეგებზე. დირექტორის აზრით, ცვლილებები და წინსვლა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებისა და მოსწავლეებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების თვალსაზრისით ნამდვილად შეინიშნება. სამუშაო ამ კუთხით ძალიან ბევრია აღნიშნა მან, რადგან საკვლევი პრობლემა ნამდვილად უდიდესი პრობლემაა, და მის მოგვარებას ხანგრძლივი და დაუღალავი შრომა ჭირდება, კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვენციები კი ამ პრობლემის დაძლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან მასწავლებელთა ნაწილი უკვე წარმატებულად ართმევს თავს განმავითარებელი შეფასების წარმოებას, კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვენციები განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, რადგან მათ გაიაზრეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და უკვე სარგებლობენ ხუთ-დონიანი შეფასების რუბრიკებით, მათ მიერ მოსწავლეებისათვის მიწოდებული ზეპირი და წერილობითი კომენტარები არის დაზუსტებული, კონკრეტული, მოსწავლისათვის მარტივად გასაგები ენით ჩაწერილი

და რაც მთავარია არის ორიენტირებული მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინტერვენციების შედეგად მივიღეთ, რომ მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს შეუძლია რუბრიკის გაგება-გააზრება და დავალებების მომზადებისას ყველა იმ მოთხოვნის გათვალისწინება, რომელსაც რუბრიკა ითვალისწინებს.

მშობელთა ნაწილისთვისაც ცნობილია შეფასების რუბრიკები, გარკვეულნი არიან შეფასების სისტემის არსში და შეფასების მნიშვნელობასა და აუცილებლობაში. მათ გამოთქვეს სურვილი აქტიურად ჩაერთონ თავიანთი შვილების სასწავლო პროცესში და ითანამშრომლონ მასწავლებლებთან.

მოსწავლისა და მშობლის ინფორმირებულობა კი მასწავლებელს საშუალებას აძლევს უფრო აქტიურად და ზუსტად გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება საგაკვეთილო პროცესში.

კვლევის პროცესში ინტერვენციების განხორციელებისას მოსწავლეთა და მშობელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ჩართული. შედეგად ლოგიკურია მონაწილე მოსწავლეებში დაიდო. იმედს ვიტოვებ მომავალი სასწავლო წლიდან დარჩენილი მოსწავლეებიც გამოთქვამენ სურვილს შეფასების სისტემის მიზნობრივად გამოყენებისას და აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში.

თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1 რეკომენდაციები

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებისა და ინტერვენციების შედეგების შეფასების გათვალისწინებით მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მივეცი რამდენიმე რეკომენდაცია.

რეკომენდაცია 1: ითანამშრომლეთ კოლეგებთან და ერთობლივად შეარჩიეთ შეფასების კრიტერიუმები და შეადგინეთ რუბრიკები, რადგან თანამშრომლობა და გუნდურობა წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რეკომენდაცია 2: რაც შეიძლება მეტი სიხშირით გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასება საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეებს აუცილებლად მიაწოდეთ კონკრეტული განმავითარებელი უკუკავშირი ქულით შეფასების შემთხვევაში.

რეკომენდაცია 3: განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემდეგ ყოველთვის მოახდინეთ მიღებული შედეგების შეფასება. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ თქვენს მიერ განხორციელებული განმავითარებელი შეფასების ეფექტიანობა და მოგცემთ საშუალებას, თვალი ადევნოთ მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია მივეცი მოსწავლეებსაც

რეკომენდაცია 1: ყოველთვის გამოიყენეთ დავალებების მომზადებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები



რეკომენდაცია 2: შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინება დახმარებას გაგიწევთ საკუთარი ცოდნის ხარისხის შემოწმებაში.

რეკომენდაცია 3: თხოვეთ მასწავლებლებს ქულით შეფასების შემთხვევაში დაგიკონკრეტონ თუ რისთვის დაიმსახურეთ შესაბამისი შეფასება რაც დიდ დახმარებას გაგიწევთ დასახოთ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზები.



უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ნაკლოვანებებსაც. ვფიქრობ, მოსწავლეებისათვის შედგენილი კითხვარები ცოტა რთული აღმოჩნდა, შეიცავდა ისეთ კითხვებს, რომლებზე პასუხების გაცემისას მოსწავლეებისათვის დამჭირდა კითხვების ახსნა. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი მშობლებთან გასაუბრების დროსაც. აღმოჩნდა, რომ მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი საერთოდ არ იცნობდა შეფასების რუბრიკებს. უმჯობესი იქნებოდა ფორმულირება შემეცვალა და კითხვები უფრო კონკრეტული ყოფილიყო. კიდევ ერთი ნაკლოვანება, რაც გულისტკივილით მინდა ავლნიშნო იყო, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა უმრავლესობა ხანდაზმული ასაკის არიან და მათთვისაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით დავალებების შესრულება. თუმცა თითოეულმა მათგანმა თავდაუზოგავად იშრომა და გარკვეული შედეგიც მიიღო.

6. 2 კვლევის შედეგები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის პროცესში დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობამ გარკვეული წვლილი შეიტანა საკვლევი პრობლემის გაუმჯობესებაში. კვლევის მიზანი იყო გაგვეუმჯობესებინა სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი სწორად და მიზანმიმართულად გამოყენება და მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის(წერილობით ან ზეპირი) მიწოდება. ყოველი აქტივობის დასრულებისას ნაბი-ნაბიჯ მივიჩვენით მიზნის მისაღწევად და საბოლოო შედეგის მისაღებად. პრობლემის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კვლევის დაწყებამდე სკოლაში გვექონდა შემდეგი სიტუაცია:



კვლევის პროცესში განხორციელებული აქტივობებისა და ინტერვენციების შემდეგ სიტუაცია ნაწილობრივ შეიცვალა. კერძოდ:



კვლევის დასრულების შემდეგ კი საბოლოოდ მივიღეთ, რომ:

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი:

- ❖ განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს უკვე სწორი ხედვით, გაკვეთილის სასწავლო მიზნების შესაბამისად ქმნიან.
- ❖ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს ქმნიან საგნობრივი კომპეტენციიდან, რომელიც მოიცავს ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს.
- ❖ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმებს ხუთ დონეზე შლიან.

- ❖ აძლევს მოსწავლეს ეფექტურ განმავითარებელ უკუკავშირს, როგორც ზეპირს, ასევე წერილობითს, რომელიც მოსწავლეებს ეხმარებათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი:

- ❖ იცნობს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და იყენებს მათ დავალებების მომზადების დროს.
- ❖ მასწავლებლის მიერ მიწოდებული ეფექტური უკუკავშირის საფუძველზე ახდენს საკუთარი ცოდნის შეფასებას და ახდენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა:

გამოთქვა სურვილი ჩართულიყო შვილის სასკოლო ცხოვრებაში, შესაბამისად გაეცნო სკოლაში არსებულ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, გაიაზრა მათი გამოყენების მნიშვნელობა და აუცილებლობა სწავლების პროცესში. მშობლის ჩართულობა კი უშუალოდ აისახა მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

თავი VII. დასკვნა

7.1 დასკვნა

2018-2019 სასწავლო წელს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანმა მასწავლებელმა მიმოზა ჩოგოვამემ განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“. კვლევაში მონაწილეობდა 25 მასწავლებელი, 30 მოსწავლე და მშობლები.

კვლევის მიზანი იყო გაგვეუმჯობესებინა სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი სწორად და მიზანმიმართულად გამოყენება და მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის(წერილობით ან ზეპირი) მიწოდება.

კვლევის პროცესში გამოვიყენე კვლევის როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. მათი ანალიზის საფუძველზე მოვახდინე საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება და დავიწყე პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიება. დავგეგმე და განვახორციელე ოთხი ინტერვენცია. ინტერვენციების შეფასების, შედეგებისა და შემდგომი დაკვირვების საფუძველზე, შემიძლია ვთქვა, რომ მოხდა პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტა. თვითონ კვლევის პროცესი იყო საინტერესო და ორიენტირებული იყო თანამშრომლობაზე მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კვლევის ჩატარებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა განმავითარებელი შეფასება, რადგან განმავითარებელი შეფასების ეფექტურობასა და მიზანმიმართულ უკუკავშირზე უშუალოდ დამოკიდებულია მოსწავლის სწავლის ხარისხის პროგრესი, და, ჩვენი, პედაგოგების ვალია ყველა პირობა შევქმნათ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა წარმატების მისაღწევად.

აღნიშნული კვლევის განხორციელებამ ბევრ კითხვაზე მომცა პასუხი, თუნდაც ის, რომ, თუ როგორი რუბრიკა მოქმედებს მოსწავლეებზე დადებითად, როგორ უმატებთ შეფასების რუბრიკების სწორად გამოყენება მოტივაციას უკეთესი სწავლისათვის და როგორ შეიძლება მიაღწიონ დაბალი დონიდან საშუალო ან საშუალოზე მაღალ დონეს. კვლევის განხორციელებამ და კვლევის შედეგების ანალიზმა ნათლად დამანახა, რომ ერთბაშად მაქსიმალური შედეგის მიღება შეუძლებელია, მაგრამ შედეგის მისაღებად გადადგმული თითოეული ნაბიჯი მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების მხრიდან.

აღნიშნული კვლევის განხორციელება და კვლევის შედეგად მიღებული თუნდაც მცირედი შედეგი ჩემთვის უდიდესი გამოწვევა და გამოცდილებაა საკუთარი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.

7. 2 კოლეგებთან გაზიარება

2019 წლის ივნისის თვეში პედაგოგებს წარვუდგინე ჩემს მიერ განხორციელებული კვლევა თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“. საპრეზენტაციოდ გამოვიყენე: პროგრამა PowerPoint-ში მომზადებული PP პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდა: პედაგოგთა უმეტესი ნაწილი, ფასილიტატორი და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი. რადგან პრობლემა ყველასთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ამიტომაც როგორც კვლევის მიმდინარეობისას, აგრეთვე პრეზენტაციის დროს პედაგოგებისგან იგრძნობოდა დიდი დაინტერესება და მეგობრული მხარდაჭერა.

ბიბლიოგრაფია

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი-ნაწილი II (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2015)
2. განვითარებისა და სწავლის თეორიები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2011)
3. სწავლება და შეფასება (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2011)
4. სასწავლო და პროფესიული გარემო (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2011)
5. სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო. წიგნი I (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი). თბილისი 2018

6. სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო. წიგნი II (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი). თბილისი 2018
7. ინტერნეტ-გაზეთი „mastsavlebeli.ge“
8. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი საფეხურისათვის 2018-2024წ <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels>
9. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016>
10. მასწავლებლის სახლის მიერ გამოცემული სატრენინგო მასალა, პროფესიული უნარები -2012წელი

დანართები

დანართი N1: ინტერვიუ დირექტორთან

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია დირექტორისათვის. თქვენი, როგორც ხელმძღვანელის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე

1.ესწრებით თუ არა სკოლაში ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესებს, აძლევთ თუ არა მასწავლებლებს განმავითარებელ შეფასებებს და რამდენად კრიტიკული მეგობარი ხართ კოლეგებისათვის?

2. იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა შესაფასებლად საგაკვეთილო პროცესში და თქვენი აზრით, აღნიშნული რუბრიკები არის თუ არა შედგენილი ესგ-ს მიხედვით?

3. რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად და როგორ ფიქრობთ, აღნიშნული შეფასება არის თუ არა ეფექტური უკუკავშირი?

4. თქვენი აზრით, იყენებენ თუ არა მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (კითხვა-პასუხი, შავი ლაქა, გასასვლელი ბილეთები....) საგაკვეთილო პროცესში და თითოეული მათგანის გამოყენება ხომ არ ატარებს ფორმალურ ხასიათს?

5. თქვენი აზრით, ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დამიწეროთ ერთი მიზეზი მაინც.

6. რამდენად უზრუნველყოფს სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების მიერ მათი გამოყენების ეფექტურობა და სიხშირე სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას?

7. თვლით თუ არა სამართლიანად იმ ფაქტს, რომ მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე უმეტესად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებშიც კრიტერიუმები სამ დონეზე არის ჩაშლილი?

8. რამდენად შეესაბამება დირექციის მოლოდინებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა და თვლით, თუ არა, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას და შესაბამისად ცვლილებების შეტანას?

დანართი N2

ინტერვენციების შემდგომი ინტერვიუ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია კვლევაში მონაწილე მასწავლებლებისათვის. შევსება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მასწავლებლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1. როგორ ფიქრობთ, თითოეული განხორციელებული ინტერვენცია დაგეხმარათ თუ არა შეფასების რუბრიკების სწორად შედგენაში?
2. როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა აუცილებელი მოსწავლეთა ჩართვა შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შერჩევაში და აღნიშნული ქმედებით თუ მიიღეთ შედეგი?
3. თქვენი აზრით, ინტერვენციების შემდეგ თქვენს მიერ შექმნილი რუბრიკები აკმაყოფილებენ თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს?
4. გადავიღებათ თუ არა მოსწავლეებისათვის წერილობითი და ზეპირი უკუკავშირის მიწოდება შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების გათვალისწინებით?
5. როგორ ფიქრობთ, სასწავლო პროცესში გეხმარებათ თუ რა ის ფაქტი, რომ შეფასების რუბრიკებს იცნობენ მოსწავლეთა მშობლებიც?
6. თვლით თუ არა, რომ მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასებით შეფასებისას აუცილებელია მოსწავლისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება?

დანართი N3: ინტერვენციების შემდგომი ინტერვიუ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია კვლევაში მონაწილე მოსწავლეებისათვის. შეესება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მოსწავლეების აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე

1).იყო თუ არა საინტერესო თქვენთვის ინტერვენციის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრა?რატომ იყო საინტერესო და რა მოგცათ აღნიშნულმა შეხვედრამ?

2). როგორ ფიქრობთ თქვენმა მონაწილეობამ შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შერჩევაში დაგაკისრათ თუ არა ზედმეტი პასუხისმგებლობა?

3)მასწავლებლების მიერ ახლად შექმნილი რუბრიკები არის თუ არა თქვენთვის გასაგებ ენაზე დაწერილი და გეხმარებათ თუ არა დავალებების მომზადებაში?

4)რამდენად ხშირად ახდენთ შეფასების რუბრიკების საშუალებით საკუთარი ცოდნის ხარისხის შემოწმებას და როგორ ფიქრობთ ხშირად გაკეთებული თვითშეფასება დაგეხმარებათ თუ არა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში?

5)ხშირად გაწვდიან თუ არა მასწავლებლები განმავითარებელ უკუკავშირს და უკუკავშირი არის თუ არა თქვენთვის დაკოკონკრეტებული და გასაგები?

დანართი N4: კითხვარი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, შევსება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მასწავლებლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვადე.

1) რა ღირებულება აქვს თქვენთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით მოსწავლეთა შეფასებას?

2) როგორი სახის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს იყენებთ უფრო ხშირად? გთხოვთ დამიწეროთ ერთი ნიმუში, რომელშიც მიუთითებთ მხოლოდ კრიტერიუმებს.

3) იძლევა თუ არა სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკების გამოყენება მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას?

კი არა ნაწილობრივ

4) იყენებთ თუ არა მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს?

კი არა იშვიათად

5) რა სირთულეებსა და პრობლემებს გიქმნით (ან იქნებ არ გიქმნით) ყოველ საკვეთილზე მოსწავლეთა შეფასება და მათთვის წერილობითი ან ზეპირი კომენტარების მიწოდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით?

6) ამჟამად თქვენს ხელთ არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ითანამშრომლეთ თუ არა კოლეგებთან?

კი არა

7) იყენებთ თუ არა სტანდარტის ენას განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის დროს?

კი

არა

იშვიათად

8) აცნობთ თუ არა მშობლებს მოსწავლეთა შეფასების სქემებს და გასაგებია თუ არა მათთვის შეფასების კრიტერიუმები?

კი

არა

იშვიათად

9) რამდენად ხშირად უწერთ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას (წერილობით უკუკავშირს). თუ წერთ, რა სახით და თუ არ წერთ, რა არის ამის მიზეზი?

10) როგორ ფიქრობთ, სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკები საჭიროებს თუ არა გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას? საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დამიწეროთ ზოგიერთი რეკომენდაცია.

დანართი N5

კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის, შეესება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მასწავლებლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1) რა ღირებულება აქვს თქვენთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით მოსწავლეთა შეფასებას?

2) როგორი სახის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს იყენებთ უფრო ხშირად? გთხოვთ დამიწეროთ ერთი ნიმუში, რომელშიც მიუთითებთ მხოლოდ კრიტერიუმებს.

3) იძლევა თუ არა სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკების გამოყენება მოსწავლეთა ობიექტური შეფასების საშუალებას?

კი არა ნაწილობრივ

4) იყენებთ თუ არა მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს? (კითხვა-პასუხი, შავი ლაქა, გასასვლელი ბილეთები....)

კი არა იშვიათად

5) რა სირთულეებსა და პრობლემებს გიქმნით (ან იქნებ არ გიქმნით) ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეთა შეფასება და მათთვის წერილობითი ან ზეპირი კომენტარების მიწოდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით?

6) ამჟამად თქვენს ხელთ არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ითანამშრომლეთ თუ არა კოლეგებთან? დადებითი პასუხის შემთხვევაში როგორ დაგეხმარათ ურთიერთთანამშრომლობა?

7) იყენებთ თუ არა სტანდარტის ენას განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის დროს?

კი არა იშვიათად

8) რამდენად ხშირად აძლევთ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას (წერილობით უკუკავშირს). თუ წერთ, რა სახით და თუ არ წერთ, რა არის ამის მიზეზი?

9) ქულით შეფასების შემთხვევაში აძლევთ თუ არა მოსწავლეებს განმავითარებელ უკუკავშირს და უკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს ?

კი არა იშვიათად

10) როგორ ფიქრობთ, სკოლაში ამჟამად არსებული შეფასების რუბრიკები საჭიროებს თუ არა გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას? საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ დამიწეროთ ზოგიერთი რეკომენდაცია.

დანართი N6

კითხვარი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, შევსება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მოსწავლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1) იცნობთ თუ არა იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილის მსვლელობისას თქვენს შეფასებას?

კი

არა

2) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის თუა არა შედგენილი თქვენთვის მარტივად გასაგები ენით?

კი

არა

3) რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები გაკვეთილზე თქვენს შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს?

არ იყენებენ

იშვიათად იყენებენ

სისტემატიურად იყენებენ

4) გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დავალებების მომზადებაში?

კი

არა

ნაწილობრივ

5)გაწვდიან თუ არა მასწავლებლები ზეპირ ან წერილობით უკუკავშირს და როგორი ფორმით? თუ გაიხსენებთ ჩამომიწერეთ ზოგიერთი მათგანი.

6)მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შეფასების რუბრიკების შექმნისას კრიტერიუმების შერჩევაში?

კი

არა

7)როგორ ფიქრობთ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, იძლევა თუ არა თქვენი ობიექტურად შეფასების საშუალებას?

კი

არა

არ ვიცი

8)მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარით შენთვის გასაგებია თუ არა რა იცოდი კარგად, რა შეგეშალა და გეხმარებათ თუ არა დაშვებული შეცდომების გაუმჯობესების გზების ძიებაში?

კი

არა

ნაწილობრივ

დანართი N7

კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, შეესება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მოსწავლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1) იცნობთ თუ არა იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილის მსვლელობისას თქვენს შეფასებას?

კი

არა

2) რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები გაკვეთილზე მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს?

არ იყენებენ

იშვიათად იყენებენ

სისტემატიურად იყენებენ

3) იყენებენ თუ არა მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს (კითხვა-პასუხი, გასასვლელი ბილეთები, ჭეშმარიტია-მცდარია, შავი ლაქა)? შეგიძლიათ გაიხსენოთ რომელიმე მათგანი?

4) გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დავალებების მომზადებაში?

კი

არა

5) გაწვდიან თუ არა მასწავლებლები ზეპირ ან წერილობით უკუკავშირს? თუ გაიხსენებთ ჩამომიწერეთ ზოგიერთი მათგანი?

6) მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შეფასების რუბრიკების შექმნისას კრიტერიუმების შერჩევაში?

კი

არა

7) როგორ ფიქრობთ, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, იძლევა თუ არა თქვენი ობიექტურად შეფასების საშუალებას?

კი

არა

ნაწილობრივ

8) უფრო ხშირად როგორ გაფასებთ მასწავლებელი: კომენტარით თუ ქულით?

კომენტარით

ქულით

9) ქულით შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი გაძლევთ თუ არა განმავითარებელ უკუკავშირს და გიკონკრეტებთ თუ არა მიღწეულ შედეგს?

კი

არა

იშვიათად

10)მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი კონკრეტულად აღწერს თუ არა თქვენი მიღწევის დონეს და გეხმარებათ თუა არა დაშვებული შეცდომების გაუმჯობესების გზების ძიებაში?

კი

არა

ნაწილობრივ

დანართი N8

კითხვარი დაწყებითი საფეხურის მშობლებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია მშობლებისათვის, შევსება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მშობლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1)იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს?

კი

არა

2) იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს?

კი

არა

იშვიათად

3) ეხმარებათ თუ არა თქვენს შვილებს დავალებების მომზადებაში შეფასების რუბრიკები და მასწავლებლის მიერ მიწოდებული განმავითარებელი კომენტარი?

4) გარდა კომენტარებისა, იყენებენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებს?

იყენებენ არ იყენებენ იშვიათად იყენებენ არ ვიცნობ

5) თქვენი აზრით, ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალება

სრულად ნაწილობრივ არა არ ვიცი

6) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში, არის თუ არა შექმნილი მოსწავლისათვის მარტივად გასაგები ენით?

კი არა ნაწილობრივ არ ვიცი

7) მასწავლებლის მიერ გაკეთებული განმავითარებელი უკუკავშირი ეხმარება თუ არა თქვენს შვილებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში? გთხოვთ დამიკონკრეტოთ, თუ ეხმარება, რაში გამოიხატება ეს დახმარება და თუ არ ეხმარება, რა არის ამის მიზეზი?

8) თქვენი აზრით, ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს თუ არა ცვლილებების შეტანას და თუ შეგიძლიათ დამიწეროთ ზოგიერთი რეკომენდაცია.

დანართი N9

კითხვარი საბაზო და საშუალო საფეხურის მშობლებისათვის

ვაწარმოებ საგანმანათლებლო საჭიროების კვლევას თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“

კითხვარი განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მშობლებისათვის, შევსება ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას. თქვენი, როგორც მშობლის აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

პატივისცემით ქვეტირის საჯარო სკოლის მათემატიკის

წამყვანი მასწავლებელი-მიმოზა ჩოგოვაძე.

1) იცნობთ თუ არა განმავითარებელი შეფასების იმ რუბრიკებს, რომლებითაც მასწავლებლები აფასებენ თქვენს შვილებს?

კი არა

2) იყენებენ თუ არა მასწავლებლები თქვენი შვილების შეფასებისას ზეპირ ან წერილობით კომენტარებს?

კი არა იშვიათად

3) ეხმარებათ თუ არა თქვენს შვილებს დავალებების მომზადებაში შეფასების რუბრიკები და მასწავლებლის მიერ მიწოდებული განმავითარებელი კომენტარი?

4) გარდა კომენტარებისა, იყენებენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა შესაფასებლად განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტებს?

იყენებენ არ იყენებენ იშვიათად იყენებენ არ ვიცნობ

5) თქვენი აზრით, ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა თუ არა თქვენი შვილების ობიექტური შეფასების საშუალებას?

სრულად ნაწილობრივ არა არ ვიცი

6) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში, არის თუ არა შექმნილი მოსწავლისათვის მარტივად გასაგები ენით?

კი არა ნაწილობრივ არ ვიცი

7) როგორ ფიქრობთ, მოსწავლეების ქულით შეფასებისას აუცილებელია თუ არა მასწავლებლის მერ კონკრეტული უკუკავშირის მიწოდება(თუ რისთვის დაიმსახურა კონკრეტული შეფასება) და რაში დაეხმარება უკუკავშირი თქვენს შვილებს?

8) თქვენი აზრით, ამჟამად სკოლაში არსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს თუ არა ცვლილებების შეტანას და თუ შეგიძლიათ დამიწეროთ ზოგიერთი რეკომენდაცია.

დანართი N10

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა - „ტექსტის გააზრება-წერის კულტურა“

დონეები კრიტერიუმები	დაბალი	საშუალო ზე დაბალი	საშუალო	საშუალო ზე მაღალი	მაღალი
საკუთარი აზრის გადმოცემის უნარი	ვერ ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას	მეტ- ნაკლებად ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას	ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას, მაგრამ ზოგჯერ ბუნდოვანია	გასაგებად ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას	დამაჯერებლად ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას. კარგად აქვს ტექსტი გააზრებული, პასუხი მრავალფეროვანია
წერის კულტურა	წერს გაურკვევ ლად	წერს გარკვევი თ თუმცა ხარვეზებ ით	წერს გასაგებად უმნიშვნელო შეცდომებით	წერს გასაგებად უმეცდომ ოდ	წერს გარკვევით, იცავს პუნტუაქციის ნორმებს

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა - „წერის უნარ-ჩვევები“

დონეები	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი

კრიტერიუმები					
იცავს პუნქტუაციას და მართლწერის ნორმებს	წერს გაურკვეველად.	წერს და არ იცავს პუნქტუაციის ნორმებს	წერს და ნაწილობრივ იცავს პუნქტუაციის ნორმებს	წერს და იცავს მართლწერის ნორმებს	წერს გარკვევით, იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის ნორმებს

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა - „წაკითხული მასალის ცოდნა„

დონეები კრიტერიუმები	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
წაკითხული მასალის ცოდნა	ვერ ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას	ნაკლებად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, უჭირს თავისი მოსაზრების დასაბუთება	მეტწილად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, მოჰყავს სულ მცირე ერთი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან	ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, მოჰყავს ერთი მაგალითი (სულ მცირე) თავისი პრაქტიკიდან, ძირითადად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად	სრულიად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, მოჰყავს მაგალითები (2-3) საკუთარი პრაქტიკიდან, ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

	მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ყოველთვის (თუმცა არა რეგულარულად) უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს	უჭირს მოუსმინოს და უყუროს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ყოველთვის (თუმცა არა რეგულარულად) მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს	ხშირად მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება	მეტყველება რეგულარულად არამკაფიოა, მსმენელებს ხშირად უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალთ, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალთ, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს	ვერ იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს



მონაწილეობა	იჩენს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარები თა და აზრების გამოთქმით	ხშირად იჩენს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის შესატყვისი	მცირე ინტერესი აქვს. ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას	არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ხშირად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს	ვერ თანამშრომლობს და ვერ იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	ხშირად მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	ზოგჯერ მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკური კავშირის საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით	თითქმის ყოველთვის მოსაზრება მოკლებულია ლოგიკური კავშირის საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

მოსწავლის სახელი გვარი	კრიტერიუმები										ჯამი
	საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	კვლევები/ნაშრომი წარმოჩენის უნარი	შემოქმედებითი უნარი	პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	საუბარი (გამართულთა, ტემბრი)	თვალსაზრისი (ინოვაციური)	აუდიტორიასთან კონტაქტი	ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	დროის ლიმიტის დაცვა	


დანართი N11 თამაში „ტანგრამი“

თამაში „ტანგრამი“. მოსწავლეებს მივეცი ორი ფოტო. ერთზე მოცემული იყო გეომეტრიული ფიგურებით აწყობილი ცხოველების სურათები, მეორეზე კი კვადრატი დახაზული დასაჭრელად, თუმცა არ მიმითითებია კონკრეტულად როგორ მოქცეულიყვნენ.



დანართი N12 ამოცანა

სალომე უნდა წავიდეს სახლიდან სკოლაში, ისე, რომ მან აუცილებლად უნდა გაიაროს ავთიაქში და იყიდოს წამალი. სალომეს სახლიდან სკოლამდე გარდა ავთიაქისა არის ბაღი და სპორტ-დარბაზი. განლაგება ასეთია:



მანძილები დაწესებულებებს შორის ასეთია: სახლიდან ბაღამდე 120 მ-ია, ბაღიდან ავთიაქამდე 300მ, სახლიდან სპორტდარბაზამდე 80მ, სპორტ-დარბაზიდან ავთიაქამდე 400 მ და ავთიაქიდან სკოლამდე 155მ. დაეხმარეთ სალომეს სკოლაში წასასვლელი გზის შერჩევაში, ისე, რომ წამალიც იყიდოს და სკოლაშიც მივიდეს. ამასთან სალომემ გაიაროს რაც შეიძლება ნაკლები მანძილი. დაადგინეთ მოხერხებოდა თუ არა ამოცანის ამოხსნა, რომ არ გვცოდნოდა მანძილი ავთიაქიდან სკოლამდე

დანართი N13 აქტივობები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის


ამოცანა 1: მზიას ცოდნა სასწავლო წლის პირველ ნახევარში 9-ჯერ შეაფასეს 10-ქულიანი სისტემით. ეს შეფასებებია: 10,7,8,10,9,9,10,8,10. იპოვეთ მზიას ცოდნის საშუალო შეფასება.

ამოცანა 2: მზიას მიმდინარე შეფასებებით შედგენილ რიცხვითი მონაცემების ერთობლიობაში განსაზღვრეთ მოდა. (რისი ტოლი იქნებოდა მოდა თუ მზიას შეფასებები იქნებოდა 10,7,8,10,9,9,10,8,10,8,8 ?)

ამოცანა 3: მზიას მიმდინარე შეფასებებით შედგენილ რიცხვითი მონაცემების ერთობლიობაში განსაზღვრეთ გაბნევის დიაპაზონი.

დანართი N14

ამოცანა: საგამოცდო ტესტირება გაიარა მე-10 კლასის მოსწავლეებმა. მათ შორის 12 -მა მათგანმა მიიღო შეფასება 9. წრიულ დაგრამაზე გამოსახულია მოსწავლეთა შეფასებები. გაარკვიე რამდენმა მოსწავლემ გაიარა საგამოცდო ტესტირება. შეადგინე და შეავსე ამოცანის პირობის მიხედვით ცხრილი და ააგე შესაბამისი სვეტოვანი დიაგრამა.



დანართი N15

ამოცანა ჯგუფური მუშაობისათვის: მოცემული გვაქვს მოსწავლის მიერ კვირის თითოეულ დღეს დავალებების შესრულებაზე დახარჯული დრო: **ორშაბათი-2.5 სთ, სამშაბათი-3,5სთ, ოთხშაბათი-2სთ, ხუთშაბათი-3სთ, პარასკევი-3,5სთ, შაბათი-0სთ, კვირა-1,5სთ.**

დავალება: ამოცანის პირობის გათვალისწინებით შეადგინეთ ცხრილი და ააგეთ დიაგრამა

რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წლის ოქტომბრიდან სასწავლო წლის დასრულებამდე სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანმა მასწავლებელმა მიმოზა ჩოგოვამემ განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა თემაზე: „განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება“. კვლევის მიზანი იყო გაგვეუმჯობესებინა სკოლაში, სწავლების სამივე საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა, მათი სწორად და

მიზანმიმართულად გამოყენება და მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის(წერილობით ან ზეპირი) მიწოდება.

სასწავლო წლის დასაწყისში დირექციასა და კოლეგებს წარვუდგინე შერჩეული საკვლევი თემა, ვესაუბრე თემის აქტუალობაზე, გავაცანი პრობლემა, კვლევის მიზანი, კვლევის სავარაუდო გეგმა, კვლევის განრიგი და მათი მხარდაჭერით დავიწყე კვლევის განხორციელება.

სასწავლო წლის ბოლოს, კვლევის დასრულების შემდეგ მოვახდინე კოლეგებთან კვლევის შედეგების გაზიარება პრეზენტაციის სახით.

კოლეგებს შევახსენე საკვლევი თემა, გამოკვეთილი პრობლემა, თემის აქტუალობა და კვლევის გეგმა. გავაცანი კვლევის პროცესში გამოყენებული კვლევის მეთოდები და მიგნებები, სტატისტიკური მონაცემები და მონაცემთა ანალიზი. ვესაუბრე დაგეგმილი ინტერვენციებისა და მათი განხორციელების გზების, ინტერვენციების მიზნის, შეფასებისა და შედეგების შესახებ. გავაცანი კვლევის შედეგების ანალიზი, გამოყენებული ლიტერატურა და დასკვნა.

პრეზენტაციის დასასრულს მივიღე კოლეგებისაგან უკუკავშირი.

შეფასების ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, საკვლევი პრობლემა იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრებაში, რომ კვლევის პროცესში პრობლემის გაუმჯობესებისათვის განხორციელებული თითოეული აქტივობა წინგადადგმული ნაბიჯია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სწორად შედგენის, დახვეწისა და მათი მიზანმიმართულად გამოყენების თვალსაზრისით. მართალია, ბოლომდე ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება, მაგრამ მეორე სემესტრში გაკვეთილებზე დასწრებისას მიღწეული შედეგები ნამდვილად გამოიკვეთა.

შეფასების ჯგუფის წევრმა, კარიერული წინვლის სქემის ფასილიტატორმა აღნიშნა, რომ „განმავითარებელი შეფასება მხოლოდ ჩვენი სკოლის პრობლემას არ წარმოადგენს. შეფასების სწორად განხორციელება, ისე რომ სარგებელი ნახოს შემფასებელმაც და შეფასებულმაც თითოეული მასწავლებლისაგან უდიდეს შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს. აღნიშნული კვლევა კი ყოველ ჩვენგანს კარგ მეგზურობას და დახმარებას გაგვიწევს არსებული პრობლემის გაუმჯობესებაში“.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა კი აღნიშნა: „კვლევის მიმდინარეობისას განხორციელებულმა ინტერვენციებმა დიდ დახმარება გამოიწვია, განსაკუთრებით ეფექტური იყო მე-4 ინტერვენცია, კათედრის სხდომის ფარგლებში კოლეგებთან თანამშრომლობით შეფასების რუბრიკების შედგენა. სწორედ ერთობლივად შედგენილი რუბრიკები გამოვიყენე ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილზე და შედეგიც მივიღე. ვფიქრობ, რომ მომავალშიც საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად ვითანამშრომლებ კოლეგებთან და შესაბამისად შედეგსაც უკეთესს მივიღებ“.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ კვლევის ფარგლებში მოხდა მოსწავლეთა ჩართულობით შეფასების კრიტერიუმების შერჩევა და მშობელთა ინფორმაციულობის უზრუნველყოფა კლასის ხელმძღვანელების მიერ. მისი აზრით, სწორედ ის, რომ მოსწავლეთა და მშობელთა გარკვეული ნაწილი გააზრებულად იცნობდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს დაეხმარა მის მიერ ჩატარებულ შიდა დაკვირვების გაკვეთილზე მოსწავლეებისათვის განმავითარებელი შეფასებისა და განმავითარებელი უკუკავშირის ეფექტურად მიწოდებაში.

აღნიშნული კვლევის განხორციელებით, ლიტერატურის მოძიებით, კოლეგებთან თანამშრომლობით, მეც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე განმავითარებელი შეფასების უკეთ განხორციელებასა და კონკრეტული განმავითარებელი უკუკავშირის სწორად და ეფექტურად ჩამოყალიბებაზე. რაც დამეხმარება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის პროდუქტიულობაში და განმავითარებელი შეფასების უკეთ განხორციელებაში.